

ლიტერატურული საქართველო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

29 აპრილი 2022წ. №8 (4043) გამომცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი

გეგმაგელია სიყვარული დაგარსხდას

პროლეტარიზირებული მასების ორგანიზება უტოპიურ იდეოლოგიურ შინაარსებში, ცხოვრება არსებული სინამდვილის მიღმა – საკუთარ დროსა და ჩაკეტილ სივრცეში მკვდარ სიმბოლოებსა და მაგიურ ფორმულებში მოქცეულ ირრეალურ პოლიტიკურ კულტმახურებაში – ამგვარი იყო საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული იმპერია, იმპერია, რომელიც წარმოადგენდა საზოგადოების მენტალურ სასაკლავოს და თავისი მასობრივი ღონისძიებებითა და თავყრილობებით იგი საკუთარ თავში მოიაზრებდა ომს, რომელიც ვულკანივით არსებობდა ამ ინტერნაციონალური კავშირის გულის სიღრმეში და იყო ის ძალა, რომელიც ინარჩუნებდა მის მთლიანობას. ცხადია, ეს ინტერნაციონალიზმი იყო ერთი ერის ჰეგემონიის პირობებში არსებული ფიქცია. ომი იყო და დღესაც არის რუსეთის იმპერიასთან დიალოგის ქვეტექსტი და განსაზღვრავს მასთან პოლიტიკური ურთიერთობის არჩევანს.

რუსეთის სახელმწიფო დღესაც ინარჩუნებს იმ იდეოლოგიას, რომელსაც იგი თავის ისტორიულ მეხსიერებაში ატარებს, რომელიც იქმნებოდა ივანე მრისხანესა და პეტრე პირველის დესპოტიზმისა თუ კომუნისტური ტოტალიტარიზმის პირობებში, იმ განსხვავებით, რომ ათეიზმი, რომელიც არის განმსაზღვრავი საფუძველი საბჭოთა მენტალიტეტისა, თანამედროვე რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში ჩანაცვლებულია მარქსიზმ-ლენინისტური მოძღვრების კონტექსტში ინტერპრეტირებული ფსევდოქრისტიანული ვერსიით და ომი, რომელიც მისი ყველა ურთიერთობის და დიალოგის ქვეტექსტად რჩება, ქრისტიანობის დაცვისა და მისიის შინაარსსა და პათოსს იძენს.

ომი ახდენს იმ სამხედრო ძალებისა და მილიტარისტული ტექნიკის მობილიზებას, რომლითაც ქმნის თავის უძლეველობის მითს რუსეთის იმპერია, ქმნის საკუთარ იმპერიალისტური ომის ენას, ესთეტიკასა და სიტყვადებს, ეს ის ესთეტიკა და ის სიტყვადება, რომელიც მანიფესტირდება ყველასა და ყველაფრის უმონყალო განადგურების სახით; სწორედ ეს ომი დგას რუსეთსა და ყველა იმ ქვეყანას შორის, რომელსაც რუსეთი საკუთარ თავლსანიერში მოიაზრებს.

რა რეფლექსია შეიძლება მოიტანოს იმ შემოქმედებამ, რასაც ჩვენ ამ ომში ვხედავთ და რაც რუსული პოლიტიკური იდეოლოგიის ამ ფარული თუ განცხადებული ომებით ხდება? უსასტიკესი ომია უკრაინაში და ყველა, ჩვენც, თითოეული ჩვენგანი ვმონანილეობთ ამ შემზარავ შემოქმედებით აქტიური ჩვენი ინტერპრეტაციებით, წარმოდგენებით, ჩვენი აზრებითა და განცდებით, სიტყვებით, რომლებიც ამ ომში გასროლილ ტყვიებს უერთდება... ვის აქვს უფლება, განსაჯოს



Слава Україні! Героям слава!

ვანო ჩხიკვაძე მარიუპოლი

კალოუბანი, მარიუპოლი, ორი ეპოქის ორი ობოლი.

ჭურვით და კევრით, ჩვილი თავთავი, იავარქმნილი და გალენილი. სარკოფაგიდან ლენგი ღაღღავებს – გახარებული ლანდი შემლიღის.

ცრემლმა გათხვარა დედის საკინძე, დაჭენა ყვავილი, მონყდა ფოთოლი, ძველი ტყვილი რად გააღვიძე, მარიუპოლი, მარიუპოლი!

გათავდა! შენთვის პატარავ, უკვე, აღარც ითოვებს, აღარც ინვიმებს, ო, უკრაინავ, მამაცო კრუხო, რამდენი ძერა გტაცებს წინილებს. ყამიანობის ორი ობოლი, კალოუბანი, მარიუპოლი!


მხატვარი მწერლის ყალიბით

კარლო ფაჩულია არის მხატვარ-გრაფიკოსი, რომელმაც ეპოქა შექმნა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურული ილუსტრაციის ისტორიაში. არ არსებობს ამ პერიოდის მეტნაკლებად ცნობილი ქართველი მწერალი, რომლის ნიგნი ან ცალკეული ნაწარმოები მას არ გაეფორმებინოს.

მისი ტეხილი ხაზი, მოზომილი შტრიხი, თბილი, ოდნავ სევდიანი ტონალობა და ფსიქოლოგიური პლასტიკა – ეს გახლავთ სტილი, შემოქმედებითი ხასიათი, ორიგინალობის ტიფარი, რომელიც არავის ჰგავს, არავის იმორებს, მაგრამ ღრმად შინაგანი კავშირი აქვს ქართული გრაფიკული მხატვრობის ტრადიციებთან. ეს არც არის ვასაკვირი, რადგან მას გაველილი აქვს ისეთი პედაგოგების კლასი, როგორებიც იყვნენ ლადო გრიგოლია, სერგო ქობულაძე, დემენტი შმარინოვი და სხვები.

კარლო ფაჩულია არის მხატვარი მწერლის ყალიბით. სამყაროს ხედავს პროზაიკოსის თვლით და ნანახს გადმოსცემს მხატვრის ფუნჯით. ზეპირი ნოველების დიდოსტატია, ამბავს ისე ჰყვება, გვეგონება, პროფესიონალის ხელით დამუშავებულ სიუჟეტს ისმენ. თუმცა რეზო ჭეიშვილისა და რეზო გაბრიადის მეგობრისგან არც ეს უნდა იყოს ვასაკვირი. მისი გრაფიკულ-ფერწერული კომპოზიციები და ილუსტრაციებიც თხრობითი დინამიკაა, თანაშემოქმედება. ერთხელ, შემოქმედებითი ცხოვრების გარიჟრაჟზე, გამოცემილობა „ნაკადულმა“ მას და მის მეგობარს, შემდგომში დიდებულ მხატვარს, გოგი ნერეთელს, საბავშვო პოეტის, გიორგი ნერეთლის ნიგნის გაფორმება შესთავაზა. კარლოს გარეკანზე უნდა დაეხატა ჭიანჭველა-ჭინჭრაქა, რომელსაც ზურგზე უზარმაზარი პური

კარლო ფაჩულია – 80



უნდა ჰქონოდა მოგდებული. „ჭიანჭველა-ჭინჭრაქას ზურგზე პური ჰქიდა, პური ჭიანჭველაზე ოთხჯერ უფრო დიდია“. – ასე ეწერა პოეტს, რომელმაც, ილუსტრაცია რომ ნახა, კინაღამ გული გაუსკდა – ჭიანჭველას, პურის ნაცვლად, ჭური ჰქონდა ზურგზე მოკიდებული. გაფოთდა პოეტი, აქეთ ეცა, იქით ეცა და, უცებ, მოულოდნელად, გადაეხვია კარლოს, ავაშენოს ღმერთმა, ეს რა კარგად შემისწორეო.

მწერლის თვალი! კარლომ, თავის-დაუნებურად, ის კი არ ამოიკითხა, რაც ტექსტში ეწერა, არამედ ის, რაც უნდა წერებულყო.

ქუთაისში დაიბადა, როინის პირას, იმ სახლში, სადაც ადრე ზაქარია ფალიაშვილი ცხოვრობდა. დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მუშაობდა საქართველოს ტელევიზიაში, „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში, იყო გაზეთ „ქომავისა“ და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მხატვარ-რედაქტორი. მისი ნამუშევრები დაცულია ქუთაისის, თბილისის, ნოიბრანდენბურგისა და მოსკოვის სახვითი ხელოვნების გალერეებში. ერთი დღეც არ უცხოვრია შემოქმედებითი წვის გარეშე. სიტყვა და ფუნჯი მისი პური და ლეინია. დღეს ის ოთხმოცის გახდა...

ივანე ამირხანაშვილი

„ინტელექტის“ პროექტი

ხუთი გამარჯვებული

83.3

და-ქვანი
ჭილაქაევი

გახსენება

83.4

„გაზაფხული,
უსივამტომ“

ია ხასანია

83.8

ლიბრიკაპიკლარისონ
შთანანერები

ააბატ ნაცვლიშვილი

83.9

ორი აპერიკალი

ბრანინივი – შროსტი

83.12

ლიტერატურული საქართველო

პირველი გვარდიან

ის ხალხი, რომელიც ენით აღუწერელი სისასტიკის მსხვერპლი აღმოჩნდა? ან როგორ შეიძლება, ადამიანმა ამ წარმოუდგენელ ბოროტებასთან მიმართებაში ქრისტეს სწავლება ასხენოს?

ომი აერთიანებს სიკვდილ-სიცოცხლის ლანდშაფტებს; ომი დაგვანახებს, რომ ახლოა სიკვდილი და სიკვდილი ასრულებს იმას, რაც წარმავალია; და თუ ღრმად ჩახედავ სიკვდილს თვალეში, დაინახავ, რომ დაძლეულია სიკვდილი, სიკვდილი დროებითია, სიკვდილი გასავლელია და არ იქნები არცერთ ომში დამარცხებული, თუკი დააღწევ თავს იმ სიცოცხლეს, „მარადისობის ჩრდილში რომ მოექცა“; დაინახავ, რომ სიკვდილზე შეუდარებლად საზარელია ბოროტება და სიკვდილი ბოროტებისგან გაათავისუფლებს, ასრულებს ცხოვრების იმ მოცემულობას, რომელშიც სიყვარული სიძულვილთან ერთად არსებობს და ვერ ეხება იგი იმ სიცოცხლეს, ღმერთმა რომ შექმნა. და სწორედ ბოროტების, სიძულვილის, ძალმომრეობის მანიფესტირებაა ომის კომპარი. ეს შემზარავი ბოროტება ადამიანის ხელით აღესრულება; და წარმოუდგენელია, არ გაგინდეს უზომო ტკივილი მათ გამოც, ვინც ამ ენით აღუწერელ ბოროტებაშია ჩათრეული... მაგრამ ყველაზე მეტად აძრწუნებს სულს ის, რომ ამ ომში არიან ბავშვები... ბავშვები, რომლებიც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დააყენა ომმა...

ბავშვები თავიანთი ბავშვური უშუალოდობითა და სამყაროსადმი უჩვეულო განხმობლობით, თავიანთ ქვეყანასთან, თავიანთ ქალაქებთან და სოფლებთან, თავიანთ ოჯახებთან ერთად ბოროტების ამ საზარელ ორომტრიალში აღმოჩნდნენ. სამყარო გულისკარს გაუსწნის უთოოდ ამ შემზარავი ომის ქარ-ცეცხლში აღმოჩენილ ბავშვებს და თავის ფარულ, იდუმალ, წმინდა ნიაღში შეიფარებს - სიცოცხლის შიდა, კურთხეულ განზომილებაში, რომელსაც ვერ ვხედავთ ჩვენ, წუთისოფლის ამოვებაში ყელამდე შთაფლული ზრდასრული ადამიანები. ქვეყნიერების სამხილებლად და მსხვერპლად იწირება სიკვდილის წინაშე მყოფი, ნანაშენი, მოკლული, შეურაცხყოფილი ბავშვების ამ საზარელ ომში ყოფნის ყოველი წამი და მარდისობაში გაფრენილი ვარსკვლავებივით გაბრწყინებული მათი სიცოცხლის შეჩერებული წამები... რამდენი ასეთი ვარსკვლავი გაჩნდა ომში მყოფი ქვეყნის ზეცაზე?! იმდენი, რომ რეტი დაგეხვევა! ამბობენ, ცა ბავშვების საუფლოაო და ღვთაებრივი სიყვარულით გულანთებული პატარები კი, ზეცაში, მხურვალედ ლოცულობენ მიწისათვის. ასე ფიქრობს ალბათ უკრაინის მიწაზე პლატეროს მსგავსი პატარა ჩოჩორი; მასაც ვერ ეღირსება, მიადნოს ზრდასრულ ასაკს; მის სიკვდილს ომის ენით აღუწერელ ბოროტების ორომტრიალში ალბათ, ვერც ვერავინ შეამჩნევს და ვერც ვერავინ გაიზიარებს მის ფიქრებსა და გულისწინადაც...

„რა ბედნიერებაა, იყო ლალი სიო, იყო მაღალი მზე“ /ხიმენესი. „პლატერო და მე“. იყო ბავშვი, რომლის გულწრფელ, უშუალო გახსნილ სულშიც ირეკლება ზეცა მთელი თავისი იდუმალებით, თავის მზით და ვარსკვლავებით. მისი ყოველი სიტყვა ლოცვაა და მისი თამბი - წმიდა შემოქმედება, მისი ღმილილი ხორცშესხმული სასოება და ვარსკვლავივით ინთება ცაში, იგი სიოსავით მსუბუქია, მას მოფრთხილება სჭირდება, თორემ დაგვტოვებს და გაფრინდება; მოფრთხილება სჭირდება ბავშვებს; და მოფრთხილება სჭირდება ბავშვობას

ჩვენში; ის ჩვენში ცხოვრობს, ჩვენშია ჩვენი ბავშვობა... ის სიცოცხლის იმ ნიაღს გვაპოვინებს, რომელსაც ომის საშინელება ვერ სწვდება...

მთელი არსებით ვემიჯნები სულის პოლიტიზირების ფენომენს, არ ვარ „ანტირუსი“, მთელი არსებით თანაფერძნობ იმ რუსი ეროვნების ადამიანებს, რომლებიც განსაკუთრებული ტკივილით განიცდიან ამ ომის უბედურებას; ვისურვებ, ისტორიის ამ უმძიმეს წუთებში, იპოვოს რუსმა ხალხმა გზა და გაათავისუფლოს თავისი ქვეყანა და მსოფლიო ბოროტებისა და სიკვდილის მთესველი იდეოლოგიური და სისტემური მითოლოგიური ურჩხულისაგან, რომელიც, წარმოუდგენელია, რაიმე გარემოებამ სიკეთის სამსახურში ჩააყენოს ან რაიმე პოზიტიური შინაარსი შესძინოს.

ახლა, ამ უკიდურესად ტრაგიკულ წუთებში, ამ ენით აღუწერელი უბედურების უამს, როცა უსასტიკესი სინამდვილე აჩერებს, აშეშებს ან-მყოს და ითხოვს ღრმა ცვლილებებს - ვისურვებ, რუსეთის საზოგადოებამ დასძლიოს საკუთარ ეთნოფსიქოლოგიაში, აზროვნებაში, საკუთარ ყოფასა და პოლიტიკური ცხოვრების განზომილებაში ტოტალიტარული მენტალობა, რუსული ნაციონალური მესიანიზმითა და კეისრის მეუფების კულტითა და აპოთეოზით. ვისურვებ ღვთის დიდ წყალობას და სასწაულს რუსეთისთვის. ვისურვებ არაიმპერი-ალისტურ, მართლაც ერთმონრმუნე რუსეთს.

მჯერა, უკრაინა გაიმარჯვებს ამ ომში, და ვისურვებ, ამ ომმა უამრავი ადამიანი შეცვალოს მსოფლიოში; ომის გარეშე, მშვიდობიან დროში, უამრავი ადამიანისთვის გააერთიანოს ზესათასოფლიური და ამსოფლიური ლანდშაფტები და დაძლიოს დღევანდელ ცხოვრებაში გაბატონებული - გულგრილობაზე, ანგარიშობაზე და გარანტიებზე დაფუძნებული პრაგმატული ნერსიგი; აღადგინოს და გააცოცხლოს ის ადამიანურობა, სიცოცხლის ის შესაძლებლობები, ქრისტიანობამ რომ მოიტანა; ალგავსოს იმ სიცოცხლის მოთხოვნით, რომელიც მარადიულ სიხარულს გვაზიარებს.

რომელმაც იცის, რომ ღმერთია სიყვარული და ღმერთია სიხარული და სიცოცხლე. იცის, რომ არ არსებობს სიხარული იქ, სადაც არ არის სიყვარული, სადაც სიცოცხლესა და სიყვარულს შორის ნაპრალი ჩნდება; სადაც სიცოცხლე ღმერთის გარეშე ყოფნის გზებს ეძებს და საკუთარ თავს უპირისპირდება. იცის, რომ ცრუა და მაცდური ყველა სიყვარული, რომელიც ვერ უძლებს ნათელს, რომელიც არ ზრდის ჩვენში ღვთის დიდების განცდას და კაცთმოყვარობას; რომელიც გვიკარგავს საკუთარ გულში ჩაღრმავების უნარს და ამცირებს ჩვენში სინამდისკენ სწრაფვას, რომ ამოა და ცრუ სიყვარული, რომელსაც არა აქვს დაუსრულებელი ზრდის და გაღრმავების უნარი და ვერ პოულობს მარადისობის გზას. რადგან სიყვარული მარადიული სიცოცხლეა და შეუძლებელია, იგი დასრულდეს, შეუძლებელია, სიყვარულმა ვერ იპოვოს გამარჯვების ძალა და გზა;

შეუძლებელია, სიყვარული განქარდეს და დაიშრის; შეუძლებელია, იგი დამარცხდეს და შეურთდეს სიკვდილს, შეეგუოს არასრულფასოვნებას და შეწყვიტოს სრულყოფისკენ სწრაფვა.

ძეგვის გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუშენია მარიამი (ჯაფარიძე)

სინათლე ჯერღულში

ბავშვობიდანვე თეატრით ვიყავი გატაცებული. თოთხმეტი-თხუთმეტი წლისამ უკვე ზეპირად ვიცოდი შექსპირის მონოლოგები მაჩაბლისეული თარგმანებით. ვსწავლობდი ქართული თეატრის ისტორიას, ჩვენი კორიფეების ცხოვრებას. ხატივით ენთო ჩემში სახე და სახელი უშანგი ჩხეიძისა. დაბეჯითებით რომ ვთქვა, ამ სფეროში ჩემს გატაცებას სამომავლო მიზანი ჰქონდა-მეთქი, არა, უბრალოდ მიყვარდა და ეგ იყო. ვსწავლობდი აგრეთვე რუსული და დასავლეთევროპის თეატრების ისტორიას.

და განა შეიძლება, კაცს თეატრი გიყვარდეს, თეატრით იყო სწეული და არ მიეახლო ბერძნული თეატრის სათავეებს, მის ღვთაებრივ არქიტექტონიკას, მის სიტყვას, მის აზრს?!

ასე გაიღვიძა ჩემში ყოველივე ბერძნულისადმი სიყვარულმა.

თუმცა ეს სიყვარული განსაკუთრებული არ ყოფილა. მეც ისეთივე გრძობით მიყვარდა ყოველივე ბერძნული, ბერძნული სამყარო, როგორც უყვარდა ყველა ახალგაზრდას, ყველა ქართველს, ვინც ცოდნის დაუფლებს წყურვილით ვიყავი შემყობილი. განა შეიძლება, არ გიყვარდეს ოიდიპოსის სამშობლო, სამშობლო მარადიული მშვენიერებისა?! რა დამაზინებებს ნლებს წინანდელს, როდესაც ერთხელ სამსახურიდან გამოსულები მე და ბაჩანა ბრეგვაძე რუსთაველზე მივბაასობდით, საბერძნეთზე საუბრისას თავი ვერ შეიმაგრა და ცრემლები მოერიო.

1960-იანი წლებია, რალაცნაირი განახლების სურნელი ტრიალებს ჰაერში. ფარულად თუ აშკარად წინააღმდეგობა არსებული რეჟიმისა, ახალგაზრდები ყველაფერ ახალს გულისხმობდნენ ვისრუტავთ. უკვე ნაგემნი ვართ რუსულ ტყვიას, გამოსროლილს ქართველთაგან 1956 წელს (მაშინ თექვსმეტისა სურნელი ტრიალებს ჰაერში. ფარულად თუ აშკარად წინააღმდეგობა არსებული რეჟიმისა, ახალგაზრდები ყველაფერ ახალს გულისხმობდნენ ვისრუტავთ. უკვე ნაგემნი ვართ რუსულ ტყვიას, გამოსროლილს ქართველთაგან 1956 წელს (მაშინ თექვსმეტისა ვიყავი, ყველაფერი კარგად მახსოვს). და ყველაფერ ძველსაც კი, რაც შეგვასხენებს თავისუფლების იდეას, ჩვენთვის ახლის მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ ორბიტაზე გავიგონე პირველად სახელი გრიგოლ ნერეთლისა, ვის შესახებაც მანამდე არაფერი მსმენოდა. ან კი რა უნდა მცოდნოდა იმ კაცისა, სწორედ იმ წელს რომ აღესრულა ორთაჭალის ციხეში, როცა მე დავიბადე. გავიგონე და შემძრა, თითქოს ჩემში რაღაც იძრა და უმაღლე მონიწება ვიგრძენი ამ ლეგენდარული ქართველის მიმართ. რა იყო ის განსაკუთრებული ლტოლვა, რამაც ეს კაცი შემაყვარა, გაცხადებულად არც დღეს ვიცი. იქნებ ეს ის აუხსნელი, გამოუთქმელი, მისტიკური კავშირია, რაც ეგზისტენციურად ხშირად მყარდება წინაპარსა და შთამომავალს შორის. ძნელი სათქმელია. მოგვიანებით, როდესაც ამ დიდ ელინისტზე სიმონ ყაუხჩიშვილის წიგნს გავეცანი, იმდენად დიდი იყო სურვილი მეტი და მეტი მცოდნოდა ამ მონამე ქართველზე, წიგნი რამდენჯერმე წავიკითხე.

ამ რამდენიმე ხნის წინ საჩუქრად მივიღე ვალერი ასათიანის წიგნი „კლასიკოსი“, რომელიც ეძღვნება მსოფლიო პაპიროლოგიის მამად აღიარებულ გრიგოლ ფილიმონის ძე ნერეთლის შემოქმედებას, მის ქვეშეშედა ლეგენდარულ ცხოვრებას, მის მონამეობრივ ალსასრულს. როგორც ერთი მოქალაქე, როგორც მკითხველი, როგორც ერთი თავყვანისმცემელი გრიგოლ ნერეთლისა, არ შემიძლია, მაღლიერება არ გამოვეთქვა წიგნის ავტორისადმი იმ ძალისხმევითვის, იმ მუშაკობისთვის, რითაც მან ახალი სიცოცხლე ჩაუღვია, როგორც აკაკი განერულია ბრძანებს, ოლიმპოდან გადმოსულ ამ ღმერთკაცის სრულიად უნიკალურ ღვანლს ქართული და საკაცობრიო კულტურის წინაშე.

ვიდრე ამ წიგნს წავიკითხავდი, რა შორეული მეგონა დიდებულ ნერეთელთა შთამომავალი, რა მიუნვდომელი, როგორც ღრუბლებში შემალული მზე. თურმე რა მახლობელი ყოფილა, რა მშობლიური, რა უბრალო, სადა, როგორც მისივე პოეზია. სურათებზეც თუ კარგად დააკვირდებით, უმაღლე იგრძნობთ საკუთარ თავში ჩაბრუნებულ ადამიანს, ვისთვისაც მიწიერი დიდება ზედმეტი ბარგია და მეტი არაფერი.

ვალერი ასათიანის მაღალპროფესიულ გამოკვლევაზე რომ არაფერი ვთქვა, ნახეთ თავად წიგნი რა დიდის ხელოვნებით არის შედგენილი, რა გასაოცარი არქიტექტონიკით, რა ტექსტებით დატვირთული. მარტო ძველი ბერძნული პოეზიის გრიგოლ ნერეთლისეული რუსული თარგმანები რად ღირს. ვისაც გული ქრისტიანული თანალობით უცემს, წიგნს უცრემლოდ ვერ წაიკითხავს.

ჩვენ ხშირად ვსვამთ კითხვას: რა გვეშველება?! პასუხი ამ კითხვაზე გრიგოლ ნერეთელმა გავცა



თავის ტრაქტატში „გენი, მამული, ენა და სარწმუნოება ანუ გენეტიკური თავისთავადობის უზენაესობის შესახებ“, რომელიც ორთაჭალის ციხეში დაწერილი 1939 წელს, როდესაც ეს მსოფლიო მასშტაბის მეცნიერი, ეს გიგანტი მეცნიერებისა, ბოლშევიკებისგან დატყვევებული, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს რომ ითვლიდა, პოულობდა ძალას და წერდა ქართველთა ხვედრზე. ტრაქტატში გრიგოლ ნერეთელი აღნიშნავს, რომ ასიმილაცია დამლუპველია ქართველთათვის, რომ „ქართველებზე, ისევე როგორც ევროპელ ხალხთა უმრავლესობაზე, როგორც ძველ ბერძნებზე და ძველ ებრაელებზე, ასიმილაცია მომავლდინებულ ზეგავლენას ასდენს...“ ის სვამს კითხვას: რა გადაარჩენს ქართველთა ამ „მომაკვინებელი“ ასიმილაციისგან?.. და იქვე პასუხობს: „ქართველთათვის ბუნებისგან მონიჭებული არაჩვეულებრივი კაცთმოყვარეობისა და პუმანურობის ფონზე, ეროვნული გენის თავისთავადობის შენარჩუნებისთვის მშვიდობიანი და შთაგონებული ზრუნვა“. და ბოლოს დაასკვნის: „არაფერი ისე მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის დილემასთან, როგორც ჯიში და ასიმილაცია. არაფერს ისე გაფრთხილება არ სჭირდება, როგორც საკუთარ ჯიშს. ჯიში ყველაფერია, მხოლოდ იგი განაპირობებს ქართველის სწრაფვას ყველაფერში ქართველად დარჩენისათვის! - და ეს კი, მთავარი რამ არის!“

აი, კაცი! - მონყვლად მდგომარეობაში მყოფსაც სამშობლოზე ფიქრი არ მიუტოვებია!

თუ არა ლეგენდას, სხვა რა განზომილებას შეიძლება მივაკუთვნოთ მისი საპროტესტო შეცხილი სასამართლოზე ჯალბათების წინაშე, როდესაც პირსისხლიანი ბოლშევიკები თვალთმაქცურად შეეცდებიან ვითომცდა მისი სასჯელის შემსუბუქებას და ცრუ იარლიყების მიკერებას - „მე არავითარი დამსახურება არ მიმიძღვის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე!...“ რატომღაც მგონია, ეს იყო პირველი მამაცი სიტყვა, გულგვამიდან აღმოხდარი, რაც მთელს ევროპაში გაისმა და რამაც დააჩქარა ბოლშევიკების ბოიკო! ლეგენდაა, აბა რა არი, როდესაც გრიგოლ ნერეთელი ციხის დამორტყვევლ ყოფაში პომეროსს უკითხავს პატიმრებს, რასაც ერთი მისი თანასაკლავი „სინათლე ჯერღულში“ უწოდებს. სულიერი გამირობის ამგვარი მაგალითები ბევრი არ იცის საკაცობრიო ისტორიაში.

ვალერი ასათიანმა, საქართველოში ელინური სკოლის ერთ-ერთმა ღირსეულმა წარმომადგენელმა, ამ ფუნდამენტური წიგნით კიდევ ერთი აგურით აღამალა არა მხოლოდ საკრალური სახელი გრიგოლ ნერეთლისა, არამედ, და რაც მთავარია, ის ტაძარი, რასაც ქართველთა კულტურის თვითმყოფადობა და სულიერი თავისუფლება ჰქვია სახელად. წიგნი მაგალითია იმისა, თუ რა სიყვარულით უნდა იზრუნოს მაღლიერმა შთამომავალმა თავის დიდ წინაპარზე. ვალერი ასათიანის წიგნი „კლასიკოსი“, ვფიქრობ, ყველა ქართველს მაგიდაზე უნდა ედოს, რათა ისტორიის ლაბირინთებში, ამ არეულ მსოფლიოში გზა არ აეხნეს, არ მოწყდეს იმ გენს, იმ ენას, იმ მამულსა და იმ სარწმუნოებას, რაც მას უფალმა განუჩინა.

წარმოვიდგენ, რა სიყვარულით შეეგებნენ გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელი თავის წანამებ შვილს, შუა ჩაიხვეს, თავზე ხელი გადაუსვეს, ცრემლი შეუმშრალეს, წუთისოფლიდან აყოლილი ავი ფიქრები გაუქარვეს, კვლავ ელინური ბრწყინვალეებით შემოსეს და გზა უკურთხეს, მიმავალი ოლიმპოსაკენ.

ლარი ალიმონაკი

„დანერე“ – ასე უკვე გამოცემილია „ინტელექტის“ ახალ ნაშრომებს, რომელიც მიზნად ისახავს სალიტერატურო პროცესის და მისი შეფასების სტიმულირებას. პროექტის ეგიდით უკვე ჩატარდა კონკურსი „დანერე თანამედროვე ქართულ რომანზე“, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა თაობის ავტორების, თანამედროვე მკითხველისთვის უკვე ცნობილ რომანებზე, არაერთი საინტერესო წერილი/რეცენზია დაიწერა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეს კონკურსი ხელს უწყობს ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას, რადგან ერთგვარი საბაზის იმისა, რომ დებუტანტმა, თუ უკვე გამოცდილმა ლიტერატურათმცოდნემ შეაფასოს

ლები ცალ-ცალკე, ერთი შეხედვით, შეულამაზებელ, მშრალ, ტროპებისაგან მაქსიმალურად დაცლილ წინადადებებს შეადგენენ, მაგრამ ერთობლიობაში ქმნიან შთაბეჭდვით მნიშვნელოვანს. სათქმელისა და ხედვის კუთხის სიმძაფრის გამო არაპოეტური სიტყვების კონკრეტული მოცემულობა სრულყოფილ პოეტურ ტექსტს იძლევა, რომელსაც გააჩნია სრულიად ავთენტური აურა და შეგრძნებების გადმოცემის ემოციური სიზუსტე, რაც ნამდვილი ხელოვნების ნიშნებად განიხილება და არა ზოგჯერ პოეზიად მონათლული ლამაზი სიტყვების ყალბი გროვისა. აღნიშნული მანერით დაწერილ ტექსტებს კატო ჯავახიშვილთან პოეტური ინდივიდუალიზმი და ორიგინალური მხატვრული

ნავს: „პოეზია მუდამ მინიშნებათა სამყაროში არსებობს და ტრადიციულ ტროპულ მეტყველებაში, მიმეტურ სტრუქტურაში, რომელიც ტარიელ ჭანტურამ თითქმის შეცვალა ინტონაციურ-კონოტაციური თამაშით, იგი ყოველ სიტყვას თავის მნიშვნელობას ანიჭებს. ეს მნიშვნელობა კი მერყეობს ფონეტიკურ-სინტაქსურ სივრცეში (...) სადაც ერთმანეთს თავს აფარებენ გულში ჩაბრუნებული ცრემლის სინათლე და სახეზე გარბენილი ღიმილის ნიღაბი...“

ამ მოსაზრების დასტურად გამოცემილია „ინტელექტის“ მიერ 2012 წელს დაბეჭდილი (სარჩევის ჩათვლით 518-გვერდიანი!) რჩეული „საიტ.უმლო ბარათი 3“ გამოდგება. ვიდრე უშუალოდ წიგნი წარმოდგენილი

დაცალკეა ძალიან გვიჭირს, ისეთივე სევდიანი როგორც თოვლისგან მიტოვებული თბილისი, ან ნაძვის ხის აშლის პროცესია, და კიდევ უფრო სევდიანი, თამარაშენელი ვალია აიდარაშვილის ხახვებით.

კარგა ხანია, თანამედროვე პოეზია რითმას გაეცა და თავისუფლება ვერლიბრის ფორმაში პოვა. ოღონდ რიტმიც უკან გაედევნა და ეს რიტმი კიდევ უფრო მძაფრი, კიდევ უფრო მომწუსველი გახდა, რიტმი იქცა ვერლიბრის მუსიკად და ვერლიბრი იქცა რიტმის ჭურჭლად. რადგან რითმას თავი დააღწია ვერლიბრმა, საკუთარ თავზე – ყველაზე ჩვეულებრივი და სევდიანი ამბების პოეზიად ქცევა გადაწყვიტა. კარგი ავტორის ხელში კი ვერ-

პროფესორ გიორგი მთავარაძის ახალი კრებული „ინტელექტი“

ლმერთმანი, შებასუხებას აღარ ვაპირებდი, მაგრამ პროფესორი ისე უსაბუთოდ იცავს თავს, რომ მაინც საჭიროდ ვცანი ორიოდე სიტყვით პასუხის გაცემა, რათა მკითხველმა ნათლად დაინახოს, რომელ მხარეს არის სიმართლე.

პროფესორის მიერ ირონიულად გამეტებული მადლობაც გასაგებია, მაგრამ გაუგებარია რატომ ამხინჯებს ტერმინს გადმოწევის და გადმოწევის (გადმოწევის, გადმოწევის, გადმოწევის), ალბათ, მკითხველის დაბნევის მიზნით და სულაც არა ფიქრობს, რომ, ცოტა არ იყოს, უდიერად ექცევა დიდი წინაპრის მიერ შემოტანილ უთუოდ საჭირო ტერმინს, რომლის „დაყინებით“ დამკვიდრებასაც მე ვცდილობდე თურმე, თანაც „ხელოვნურად“. თუმცა იქვე იშველიებს „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას“, რომ „იოანე პეტრიწი ქმნიდა ახალ ქართულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას ბერძნულ დედანთან ზუსტი მიმართებით და არაბუნებრივობისა და ხელოვნურობის გამო დამარცხდა ენასთან ჭიდილში ეს უდიდესი მოაზროვნე“. ვითომ რამე დააშავა, რაკი ცდილობდა ახალი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნას? თუმცა იქნებ იცოდა კიდევ, რომ ენასთან ამ ჭიდილში დამარცხდებოდა. სწორედ ამას ნათქვამი, მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო. რა გამოდის, მაშასადამე, მეცნიერმა, იმის შიშით, ემანდ არ დაეგმარცხდეთ, არ უნდა იფიქროს ახლის შექმნაზე?! ასე რომ, ეს საყვედური ნამდვილად არ ეკუთვნის სიახლის შესაქმნელად მორუდუნ მეცნიერს, რომელმაც უწყინარი ტერმინი ჩემამდე რვაასი წლით ადრე გამოიყენა.

ახლა, რაც შეეხება „როცა დედანში მხატვრული ფუნქციით გამოყენებულია დიალექტიზმი, თარგმანის დროს ეს ქმნის თუ არა სირთულეს“. ეს იყო პროფესორის შეკითხვა და ჩემი აზრის გაგება უნდოდა თურმე ამ საკითხზე, მაგალითად მოჰყავს მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი“. კი, ბატონო, მთარგმნელები აერია. „დონი“ თინათინ ჯავახიშვილში თარგმანს, არისტო ჭუმბაძემ — „გატეხილი ყამირი“. თუმცა, მთელი ტექსტის ნაკითხვას თავი დავანებოთ, უბრალოდ თვალი რომ ჩაეკრა, პატივცემული პროფესორი დაინახავდა, რომ არც „წყნარ დონში“ და არც „გატეხილ ყამირში“ არც კახური და არც ქართლური დიალექტი გამოყენებული არ არის. აი ამზე გამოვხატე მე ჩემი აზრი. როცა ფილოლოგი პროფესორი დიალოგში ხარ ჩაბმული და მაგალითად რომელიმე მხატვრულ თარგმანს (ქართულად გადმოწეულ ტექსტს) მიმართავ, მკითხველი შეცდომაში არ უნდა შეიყვანო, ის ტექსტი არ უნდა მოიშველიო, რომელიც საერთოდ არც გინახავს და აშკარა არცოდნას არცოდვად ასაღებ.

აქ ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ რეპლიკის ბოლოს პატივცემული პროფესორი იუმორისტულ ხასიათზე დგება და გადმოწევის თუ გადაწევის ტერმინის გაბიაბრუებას იწყებს, ალბათ, რეპლიკის ნამკითხველის გადაბირების მიზნით, მაგრამ იუმორისტობა გამოსდის თუ არა, ეს მეორე საკითხია. აქ იგი უწინარესად თავის თავს იყენებს სასაცილო მდგომარეობაში, ვიდრე ტერმინის გამოცხლებლის ცდას რვა საუკუნის შემდეგ... თურმე საქმეს ნაადგებოდა, თუ შეიქმნის (მთარგმნელის) აზრი იმის შესახებ, დღეს რა იენება (ითარგმნება), ვინ აენებს, ვის უნებს, რა როგორ ემორჩილება ენებს, გადმოწევის რამდენად კვალიფიციურია, საენებელი ნაწარმოები რამდენად ფასეულია და ამ ენებულ (თარგმნილ ლიტერატურას) მკითხველი ჰყავს თუ არა... ერთი სიტყვით, რაც თვითონ უნდა გაერკვია, გაუმორისტებული პატივცემული პროფესორი სიტყვებით ყოვლიორობს და ჩემგან ითხოვს იმის გარკვევას, ოღონდ ერთ ცოცხალ მაგალითსაც აიშველიებს თანამედროვე თარგმნილ ლიტერატურად და პირდაპირ აგანგალა განგალაზე გადადის. არცოდნის არცოდვად გამსაღებელ პროფესორთანაც კი ადვილი არ არის კამათი, მაგრამ გაჭირვება მიჩვენეთ, გაქცევას გირჩენებთო, ისე დამემართა.

ის ირონიული საყვედური კი, რომ დიალოგი „გაჭიანურებულად“ მოვიხსენიე, ნამდვილად არ მეკუთვნის. თანაც ირონიულად ნათქვამი. პატივცემულ პროფესორს თურმე იმაზე სწყდება გული, რომ „კაცმა, რომელმაც ათეული წლები შეალა ენისა და მწერლობის სამსახურს, პრობლემაზე (ენა და მწერალი) ორი სიტყვაც არა თქვა“. როგორც ჩანს, პატივცემულ პროფესორს ერთი სიტყვით ნათქვამი არ ჰყოფნის, ორი სიტყვით, ცხადია, ბევრად მეტს ვიტყვოდი, ბევრად მეტს გადმოწევის თვის ფილოლოგიური ნაღვანიდან. რაც შეეხება დიალოგის „გაჭიანურებულობას“, ასეთ შემთხვევას ილია ჭავჭავაძემ, მგონი, მოკამათის გალახაჭიანულისეული უმჭკობის შედეგად მიიჩნევდა.

დასასრულ, კიდევ ერთ ბოდიშს ვიხდი, ცოტა არ იყოს, იქნებ მკვახე პასუხისთვის, რაც ღმერთი, რჯული, ქართული ენის თავანკარობის დაცვის ჩემულმა სურვილმა გამომათქმევინა.

არცოდნის არცოდვად გადმოწევის გურამ გოგიაშვილი

„დანერე“ – გამოცემილია „ინტელექტის“ ახალი კრებული



ახალი ქართული ნაწარმოებები, მათ შორის თანამედროვე ქართული პოეზია.

საქართველოს პოეტების ქვეყანას ეძახიან, მაგრამ ბოლო ხანებში გამოიკვეთა სამსუხარო ტენდენცია, რომ პოეზიას არ კითხულობენ, შესაბამისად, თანამედროვე პოეტური კრებულები კომერციულად საინტერესო პროექტებად არ მიიჩნევა.

გამომცემლობა „ინტელექტი“ ცდილობს არ გაიზიაროს ეს სტერეოტიპი და მიზანმიმართულად შეუწყოს ხელი პოეზიის პოპულარიზაციას მკითხველთა ფართო წრეში, გამოსცეს არა მხოლოდ ყველასთვის ცნობილი და ავტორიტეტული პოეტები, არამედ, დებიუტანტებიც. კონკურსის – „დანერე თანამედროვე ქართულ პოეზიაზე“ ერთ-ერთი მთავარი მიზანია ცნობილ თანამედროვე მკითხველში ქართული პოეზიის პოპულარიზაცია.

აქვე გთავაზობთ ამონარიდებს გამარჯვებულთა რეცენზიებიდან:

I ადგილი – მანანა მათაშვილი / რეცენზია კატო ჯავახიშვილის კრებულზე – „დედაჩემმა მითხრა, რომ“

„კატო ჯავახიშვილის პოეზია თანამედროვე ქართული პოეზიის სწორედ ამ, ყურნალობით შეხვედრულ ნარატიულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მიმართულების ტექსტებს ერთი საერთო მახასიათებელი აქვთ: მათი ლექსიკური შემადგენ-

სახეებიც ემატება, რის შედეგადაც საკუთარი ხმის მქონე გამორჩეულ პოეტურ ნაწარმოებებს ვიღებთ.“

II ადგილი – ხატია იათაშვილი / რეცენზია დავით წერეთლის კრებულზე – „პარაპეტი“

„კრებული „პარაპეტი“ რამდენიმე ციკლისგან შედგება. მათგან ჩემთვის გამორჩეულად საინტერესო მაინც „ლაზარეა“ – ძველ ხალხურ მოტივებზე შექმნილი ლექსების ერთობა, რომელთა შექმნის დროსაც, როგორც თავად ამბობს, შეეცადა გადმოეცა და შეენარჩუნებინა პოეზიის პირნპირი მინდად ქართული ფორმა და წყობა, თუმცა ამავდროულად, ძველი და ან უკვე ნათქვამი, არაფერი გაემეორებინა. მგვანებოდა იმავე თარგმე მოჭრილს, თუმცა ახალი, მხოლოდ წერეთლისთვის გასაგები ცოდნით ყოფილიყო სავესე. ამ ლექსებში ვხვდებით მეგრულ და სვანურ მოტივებს, ლეგენდებს, ისტორიულ, კლასიკურ პერსონაჟებსა თუ სურათხატებს, მეფეებს, კლდეებს, მდინარეებს, მზესა და მთვარეს, რელიგიასა და ცრურწმენებს – იმ ყველაფერს, რაც ქართულ ხალხურ პოეზიაში, ვერ კიდევ უხსოვარი დროიდან, ასე მძლავრად მოედინება.“

III ადგილი – გუგა მგელაძე / რეცენზია ტარიელ ჭანტურის კრებულზე – „საიტ.უმლო ბარათი – 3“

„გივი ალხაიშვილი თავის წერილში „სივრცე ღიმილსა და ცრემლს შორის“ აღნიშ-

ძველი და ახალი ლექსების სპეციფიკაზე ან ვთქვათ, ტარიელ ჭანტურის ესთეტიკური სივრცის შეფასებისას ხშირად გამოყენებული (და ვფიქრობ, კლიშედ ქცეული) ირონიულ-პაროდული ნაკადის თავისებურებებზე ვიგაუბრებდე, საჭიროა, ყდაზე გამოტანილი სათაურის, როგორც ერთგვარი პოეტური იეროგლიფის, გაშიფვრა.“

უიურის სიმპათია – ნუკა გაგუა / რეცენზია ბესიკ ხარანაულის კრებულზე – „ეჰ, ბესარიონ“.

„ჩვენი ბრალია, რომ ქვეყნად დახეტიალობს პანდემია და არა ერთმანეთის პატივისცემა – სიყვარული. პანდემია ის დროა, როდესაც თავად ხარ საკუთარი თავის დედამიწაც, ყველა ქვეყნის აეროპორტიც, ჩაფიქრებული რიგიც მუხუშემებთან, საოცარი პანდემიაც ყველა ცნობილ ოპერაში, ყველა ბრენდული მაღაზიის ვიტრინაც, ხელფასით შექმნილი ევროებიც, დოლარებიც და ფუნტებიც. სინამდვილეში, შენ, ახლა, ერთი კოვიდტესტი ხარ ანდა, კოვიდტესტიანის კონტაქტი – იზოლაციაში. დღეს შენ ხარ სტატისტიკა და ჩვენი, ორად ვართ გაყოფილი: დადებითი და უარყოფითი.“

ინა იმედაშვილი / რეცენზია ეკა ქვენიშვილის ლექსების კრებულზე „ღარიბების ტრანსპორტი არსად გაჩერდება“

„დაიხ, ეკას ლექსები ის გაჩერებული წუთებია, რომლებიც ყელში ბურთებად გვეჩხირება და მისი გა-

გოგი გაჩეჩილაძის გახსენება



ჩემი უფროსი მეგობარი და კოლეგა - გიორგი გაჩეჩილაძე 2021 წლის 8 იანვარს გარდაიცვალა. თითქოს გუშინ იყო, უკანასკნელ გზაზე რომ ვაცილებდით. არადა, ერთ წელზე მეტი დრო გავიდა...

გოგი - პირმოციხარი, წარმოსადგევი, რომელსაც სენატორს თუ ახალგაზრდა ბლოკს მიმსგავსებულს, ლიტერატორი ოჯახური ტრადიციითაც და ციხე მომადლებული ნიჭითაც - სულიერი კომფორტის განსახიერებამ მოგეჩვენებოდა, თუ ახლოს არ იცნობდი, ან მისი წერილები არ გქონდა წაკითხული.

მასში კლასიკურად იყო გამყვანებული ქართული ხასიათი: ეს

არტიკლიზმი, ეს სურვილი ავანსცენაზე ყოფნისა, ეს მოკრიალებული ფასადი, ზოგჯერ დიდ ტყვიებს და დრამატულ განცდებს რომ ფარავს... კიდევ კარგი, ჩემი ამპარტავანი მეგობარი ლიტერატორი რომ იყო და განგებამ ჩამალული, პიროვნული თუ საზოგადო ტყვიების გაცხადების უნარით დააჯილდოვა.

ამ ნიჭით „დასაჩუქრებაც“ ხომ უცნაური რამაა, განსაკუთრებით იუმორის - ერთისათვის ჯილდოა, მეორისათვის - სასჯელი, ისე საგულდაგულოდ დაგმანულ ბოროტებას ააშკარავებს ზოგჯერ... გოგი გაჩეჩილაძის აპოლონური ნატურა სწორედ მისი ნიჭისა და მისი ფსიქოტიკის პარამონიულობამ შექმნა: შური თუ ღვარძლი არ შეხებია მის კეთილ და მიმტყვებელ გულს. ადამიანები ვართ და, ცხადია, ყველასთან ერთნაირი მიმართება ვერ გვექნება, მაგრამ ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობის მანძილზე, არ მახსოვს, გოგის თავის მტერზეც კი გამტყობით და ღვარძლით ელაპარაკოს.

კეთილ სანწყის რაც შეეხება, ერთი დიდი ხნის წინანდელი ეპიზოდი მახსენდება: ლიტერატურის ინსტიტუტში ახალგაზრდა თანამშრომელი ქალი გვყავდა, ძალზე

სიმპათიური, მაგრამ უკურნებელი სენით დაღდასმული... სწორედ ეს ჩვენი კოლეგა შეგვხვდა ინსტიტუტთან ერთ მზიან დღეს, რაღაც სევდიანად გაგვიღიმა და გაგვიცადა. გოგის წამი არ დაუყოვნებია (თუმცა, ვიცოდი - რა აუცილებელ საქმეზეც ულოდნენ), დაენია ქალიშვილს და პათეტიკურად ეფიცებოდა - დილიდან ვნატრობდი მცხეთაში, პატარა ტაბლასთან მოკალათებას და ახლა შენ და ზაზამ არ დაძაღვლათო... დღემდე ვუმაღლიდი გოგის იმ ექსპრომტსაც და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენ ამნაირ სპონტანურ, რაინდულ ყესტს...

მოსაგონარი ძალიან ბევრი მაქვს: ერთობლივი მგზავრობანი - პროფესიული ინტერესებით ნაკარნახევი თუ სიტუაციითა და იმნუთიერი განწყობით; ურთიერთსტუმრობანი, როცა შუალაქებში გატაცებით ლაპარაკობდა მორიგ ლიტერატურულ მიგნებაზე, ბოლოდროინდელ ვიზიტზე ამერიკაში, ახალ წიგნებზე თუ ახალგაგონებულ ადამიანებზე. ლაპარაკობდა ქართულ სიტყვასთან ვენებანი შეთამაშებით. სულ სხვანაირი იყო ასეთ დროს - ხან სიტყვით მთვრალი ნარცისი, ხან თავისისავე თავზე გულიანად მოხარხარე...

*** დიდ პოლანდიელ მეცნიერს - იოჰან პოიზინგას ერთი ძალიან საინტერესო გამოკვლევა აქვს „Homo Ludens“ („ადამიანი მოთამაშე“ - ითარგმნა კიდევ ქართულად), რომელშიც ადამიანის მთელი ცხოვრება თამაშისა და როლების მონაცვლეობად განიხილება. ახლა, როდესაც გოგი გაჩეჩილაძის ცხოვრებისეულ როლებს ვისხენებ - საზოგადო მოღვაწის, მწერლის, მეცნიერის, პოლიტოლოგის (ხოლო თუ იუმორისტულ ტალღაზე გადავალ - პოკერისტისა და „კაზანოვასი“), სწორედ პოიზინგა მახსენდება...

ძალიან კარგად უნდა გცოდნოდა გოგი, რომ გეგარძო, რომელი როლი იყო მისთვის ძვირფასი და ორგანული და რომელი - ოდენ რიტუალური ან მხოლოდ მაყურებლებსაც იგი ჩვეული აზარტითა და არტიკლიზმით ასრულებდა, მაგრამ თვითონვე ერთგვარი იუმორით უცქეროდა და ბოლომდე არასოდეს აივივებდა თავის ჭეშმარიტ, შინაგან არსთან.

იყო კიდევ ორი როლი, რომელშიც გოგი გაჩეჩილაძეს ნახევარი საუკუნე ვაკვირდებოდი და რომე-

ლიც ავირეგინებდა მის კორუპულ პორტრეტს. ეს იყო როლი შესანიშნავი ოჯახის შექმნისა და გულითადი, ერთგული, უშუალო და უღალატო, თავგამოდებული მეგობრისა. როლები, რომელიც ხიბლსა და სითბოს აძლევდა მთელს მის ცხოვრებას.

გოგი გაჩეჩილაძეს თვისი პერიოდები ჰქონდა ლიტერატურული ინტერესებისა - ბაროკო, რომანტიზმი, პარალიტირატურის ფენომენი, დუმილი, როგორც არასიტყვიერი კომუნიკაცია... 1986 წელს მან თავისი ცხოვრების მთავარი წიგნი გამოსცა - „სულიერი გამოცდილების სამყაროში“.

ახლა, როდესაც გოგი აღარ არის, ყოველი მიზრუნება მის წიგნთან (ანუ - ისევე და ისევე გოგისთან) რაღაც სევდანარევე განწყობაზე მყვინებს და გულაჩუყებული დავცქერი წარწერას, რომლის მნიშვნელობას ვერ ჩანვდება ადამიანი, თუ თავისი წიგნი არ გამოუცია: „ზაზას და ლესიას - ჩემი წიგნის პირველი ეგზეგეტიკა, სიყვარულით და ერთგულებით. გოგი გაჩეჩილაძე“.

ერთი ისედაც ტყვილიანი წელი გავიდა გოგი გაჩეჩილაძის ნასვლიდან. ეს წიგნი მაგიაზე მიდევს და გაუნებელი სითბოთი ვისხენებ მის ავტორს.

ზაზა აზიანიძე

და-ძმანი ჭილაძეები

ვინ იყვნენ ძმები თამაზ და ოთარ ჭილაძეები და ვინ არის მათი და ქალბატონი თინა, ამის ახსნა-განმარტება საჭირო არ არის. ვისთვისაც ქართული ლიტერატურა ძვირფასია, ვისთვისაც დაშობისა და შობის ინსტიტუტი სისხლბორცულია, მისთვის ყველაფერი ისედაც ცხადია. მე შემოვიფარგლები იმ მცირე, სევდანარევი მოგონებით, რომელიც ჭილაძეებთან ეპიზოდურ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული.

და-ძმებიდან პირველად ოთარ ჭილაძე ვიხილე, ეს მოხდა 1966 წლის გაზაფხულზე. თბილისში სტუდენტების კინოდარბაზში შეხვედრამ მოეწყო ქართველ მწერლებთან. ჩემს თანაკურსელ და შემდგომში ახლო მეგობარ ხეთისო გოგოჭურთან ერთად დავესწარი საღამოს.

საღამოზე ძირითადად მწერალთა გამოსვლები იყო, რომელთაგან დამსწრეებზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა გამხდარმა პოეტმა. ეს იყო ოთარ ჭილაძე.

ამის შემდეგ ათეული წლების განმავლობაში ოთარ ჭილაძეს ხშირად „უხვდებოდი“ ქართული ჟურნალების უფრცლებზე და მის წიგნებში. ძირითადად მისი პროზაული ნაწარმოებები მიზიდავდა. ვერ ვიხსენებ ისეთ ფაქტს, რომ ჟურნალში წაკითხული მისი რომანი კვლავ არ წამეკითხოს, როცა ის ცალკე წიგნად გამოვიდოდა.

ბატონ თამაზ ჭილაძესთან „შეხვედრა“ უფრო გვიან შედგა. ბატონმა თამაზმა 1983 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№№ 10-11) გამოაქვეყნა მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებო ნარკვევი „ვეფხისტყაოსანზე“ სათაურით - „ვარდის უფრცლობის ნიშანი“. შემდეგ ნარკვევი ცალკე წიგნად გამოვიდა. ნარკვევმა არაერთგვაროვანი შეფასება დაიმსახურა. საყოველთაო მოწონების გვერდით იყო შედარებით ნაკლები, მაგრამ კრიტიკული შეფასებები, მათ შორის ჩემი („ისევე რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის

თინა ჭილაძე

თავაზთან და ოთართან ერთად



შესახებ“, „მაცნე“, ფილოსოფიის... სერია. 1985, № 1). საქმე ის იყო, რომ თავის ნარკვევში ბატონი თამაზი ძალიან მკაცრად აკრიტიკებდა პოემის ფილოსოფიურ ნაკითხვას, რაც, ბუნებრივად, მხედველობიდან არ გამორჩენიან ფილოსოფოსებს. მათ შორის ვიყავი მეც.

ამ ამბიდან თითქმის ოცი წლის შემდეგ შევხვდი ბატონ თამაზს. ამ დროისთვის უკვე ბათუმში ვიყავი სამუშაოდ გადასული. ერთ დღესაც მირეკავს ცნობილი ბათუმელი პოეტი დავით თედორაძე და რესტორანში მეპატივება, თანაც მეუბნება, რომ სტუმრად ეყოლება ბატონი თამაზ ჭილაძე და მისი და, ქალბატონი თინა. ბატონი თამაზის ნარკვევზე ჩემი ერთობ მკაცრი კრიტიკული გამოხმაურების გამო ვყოყმანობდი, მივსულიყავი თუ არა საღამოზე. ბოლოს მაინც ნასვლა გადავწყვიტე. ძალიან კარგი საღამო იყო დათოს მშვენიერი სადღეგრძელოებითა და მისივე და ბატონი თამაზის ლექსებითა და გამოსვლებით შეზავებული. ასე რომ, იმ საღამომ ყოველგვარი უხერხულობის გარეშე ჩაიარა და ამის მიზეზი, ჩემი ღრმა რწმენით, იყო ბატონი თამაზის დიდბუნებოვნება და არისტოკრატიულობა. იმ დროიდან დაიწყო ჩემი, ჩემთვის სამახსოვრო ურთიერთობა ჭილაძეებთან. ერთ-ერთ შეხვედრაზე ბათუმში, ბატონმა თამაზმა მთხოვა, თბი-

სევდანარევი მოგონებები

ლისში ყოფნისას ვსტუმრებოდი ოჯახში. 2006 წლის შემოდგომაზე ვესტუმრე ჭილაძეებს თბილისში, ხილიანის ქუჩაზე. მასპინძლებმა მოიბოდიშეს, რომ ბატონი ოთარ შეუძლოდ არის და საუბარს ვერ დაეხსრებაო. საათნახევარი-ორი საათის განმავლობაში სუფრასთან ვისხედით ქალბატონი თინა, ბატონი თამაზი და მე. მსუბუქი სადილის შემდეგ კი დესერტად ყავასთან ერთად მივირთმევედით ქალბატონი თინას მომზადებულ ნაირ-ნაირ ნამცხვრებს. ნამოსვლის წინ ბატონი თამაზი გავიდა ოთახიდან და ხელში წიგნით დაბრუნდა. ეს იყო ოთარ ჭილაძის „გოდორი“ ჩემდამი ავტორის მოძღვნი.

2010 წლის სექტემბერში ბატონმა თამაზმა ძმის - ოთარ ჭილაძის წლისთავზე მიმინვია. სუფრას რომ შეეფერებოდა, ისე უძღვებოდა აკადემიკოსი როინ მეტრეველი. მეც საპატიო ადგილი მიმიჩინეს.

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ, წლისთავის სუფრისთვის მოულოდნელად, სადღეგრძელოს უფლება რეზო ამაშუკელმა ითხოვა და ასევე მოულოდნელად, ჩემი პერსონალური სადღეგრძელო შესთავაზა სუფრის წევრებს. მისი ქმედება პოეტმა ახსნა იმით, რომ დიდი შემოქმედის წლისთავს ხელისუფლებიდან მხოლოდ მე ვესწრებოდი და თანაც ბათუმშიდან სპეციალურად ჩავედი ამისთვის.

არ დავმალავ და მესიამოვნა ეს ფესტი. ყველაფერი ამისთვის კი ახლაც მადლობელი ვარ როგორც ბატონი თამაზ ჭილაძის, ისე ბატონი რეზო ამაშუკელისა.

ალექო სომერიკი და თემურ ნიკლაური

ჩვენი ცნობილი მომღერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ალექსანდრე (ალექო) ხომერიკი პირადად გვიან გავიცანი. უფრო სწორად თვითონ მეწვია აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში და ასე გავიცანით ერთმანეთი. ამის შემდეგ თბილისში მასთან ოჯახშიც ვსტუმრებდი. რომ აღარ მოვეშვი, ადგა ისიც და თავისი სურვილით ჩემი ერთ-ერთი შვილიშვილის ნათლია გახდა.

ალექო ყოველ ზაფხულს ჩამოდოდა ბათუმში, საკუთარი ბინაც ჰქონდა ზღვისპირა ქალაქში. ერთ საღამოს, ბათუმში მორიგი სტუმრობისას ალექომ ვახშამზე მიმინვია. თხუთმეტამდე ადამიანი ვუსხედით სუფრას, მათ შორის ანსამბლ „ბათუმის“ რამდენიმე წევრი. ალექო საერთოდ ემოციური კაცი იყო და შუა მოღვინისას რაღაცაზე გაფიცდა... ამაზე ქალბატონმა მარინემ - მისმა მუდღემ მორიდებით შენიშნა. ამან უფრო გააცხარა მასპინძელი და საკმაოდ აგრესიულად თქვა:

„მე პურს ვჭამ ლაპარაკითა და სიმღერით!“. შემდეგ მოულოდნელად მე მომჩივდა და დასტური მოითხოვა ჩემგან: „- ასე არ არის ბატონო მიშა?“, მეც დავუდასტურე, რა თქმა უნდა-მეთქი.

ალექომ ჩემი დასტური არ იკმარა და მეკითხება - თქვენ?

- „მე... მე ენაზე კბილის დაჭერი“. ამით საბოლოოდ განიმუხტა სიტუაცია. ქეფი გაგრძელდა. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ მადლობა ვუთხარი მასპინძელს და წამოვივი.

რამდენიმე დღის შემდეგ იმ საღამოს სუფრასთან ერთ-ერთი მყოფი შემხვდა. მისი თქმით, ჩემი ნამოსვლის შემდეგ დიდხანს ბჭობდნენ თურმე, რას ვგულისხმობდი ენაზე კბილის დაჭერაში. ბევრი განსჯის შემდეგ შეჯერებულან იმაზე, რომ პოლიტიკოსი ყველაფერს კი არ უნდა ლაპარაკობდეს, არამედ ენაზე კბილს აჭერდეს. მოკლედ, რაც იმ დამესვთქვი, პირდაპირ ჩემს მდგომარეობას მოარგეს. არადა, იმ საღამოს ჩემი პასუხი სპონტანური იყო და არა გააზრებული.

ალექოსთან და მის ოჯახთან ჩემი ურთიერთობა გრძელდებო-

და. თბილისში ყოფნისას არც თუ იშვიათად ვსტუმრებოდი. ალექო ცხოვრობდა მეტრო „დელისთან“, ზაქარაძის ქუჩაზე.

ალექოს ოჯახში ნამდვილი მუსიკალური გარემო იყო. იმჟამად ძირითადად სტაჟიორ მომღერლებს ამეცადინებდა. ჩემს სტუმრობას, როგორც წესი, სუფრით აღნიშნავდა. ალექო ჩემსავით არამსმელი იყო და ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ სიმბოლურად ვწრუბავდით სასმელს. სუფრას ეტყობოდა მისი სიღვიძის ხელი. სუფრასთან ხანგამოშვებით ჩამოვდებოდა ალექოს მუდღემ ქალბატონი მარინე დარჯანიანი, მუსიკოსი.

2010 წლის შემოდგომაზე მორიგი სტუმრობისას ალექომ დამახვედრა ჩვენი გამორჩეული მომღერალი, მისი უახლოესი მეგობარი - თემურ ნიკლაური. სუფრასთან არაჩვეულებრივი საუბარი გამოვივიდა, მოვიხიბლე ბატონი თემურის თავმდაბლობით. ბოლოს შემომთავაზეს, თუ რომელი სიმღერის მოსმენას ვისურვებდი მათი შესრულებით. ალექოს ვთხოვე, „თავო ჩემო“ ემღერა „დაისიდან“, ხოლო ბატონ თემურს - „საქართველოს მანანებო“. ამ დროს პიანინოსთან, როგორც წესი, იჯდა ალექოს მუდღემ, ქალბატონი მარინე დარჯანიანი. ეს საღამო და ეს შეხვედრა მუდამ განსაკუთრებულად მახსენდება...

სამწუხაროდ, ორივე ხელოვანი ნადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. ალექოს გულმა უმტყუნა, თემური კი ვერაგმა კოვიდმა შეინირა. ასევე სამწუხაროდ, მათ დასაფლავებას ვერ დავესწარი. ორივე შემთხვევაში „დამნაშავე“ იყო ისევე და ისევე ეს ავადსახსენებელი კოვიდი.

P.S. ცხოვრებაში არაერთი დამამახსოვრებელი ურთიერთობა მქონია. მაგრამ განსაკუთრებით მახსენდება ეს ორი და ეს ალბათ იმიტომაც, რომ ამ გახსენებას თან ახლავს დიდი ტყვილი, სევდა... ერთი სიტყვით, ეს სევდანარევი მოგონებაა.

მიხეილ მახარაძე

სოლომონ ნარბაქი

იზრდებოდა დედისერთა ბიჭი. დედა და ბებია ზრდიდნენ. მამა შორს იყო წასული. შორეული ქვეყნიდან სთხოვეს, - ყაჩაღებმა შეგვანუსხეს, ჩამოდი, დაგვეხმარეო. მამიკო წავიდა და ჯერ იმ ქვეყანას დაეხმარა, შემდეგ კი, რიგრიგობით, მის მეზობელ ქვეყნებსაც - აბა, სხვებს გასაჭირში ხომ არ მიატოვებდა?! - მერე, დე? - ეკითხებოდა ძილ-ბურანში წასული ბიჭი. - სტაცა მამიკომ ხელი ბანდიტს, მოგვერდით წამოიღო და ძირს დაანარცხა. - როდის დაბრუნდება? - დაბრუნდება, მოვა! - როდის? - რა იყო, დე, ვინმესი ხომ არ გეშინია? მე მითხარი, მე ვარ აქ ჯერ, სანამ მამიკო მოვა! - მეშინია არა ის კიდევ? ვინ რას გამოიბედავს?! - ბიჭი ოდნავ მოფხიზლდება, წამოიწევს. მერე თავს დედის ფერდში, დედის ხელსა და მარჯვენა ძუძუს შორის ჩარგავს და იძინებს. ქალი ჭერში იყურება, მარჯვენა ხელით ბიჭის ქოჩორს ეფერება და ჭერში ვილაცხას მიღებული ღიმილით, უფრო გაოცებულს რომ ჰგავს, თავს ოდნავ შესამჩნევად უქნევს.

- დათვის როგორ მოერია, დე?
- როგორ და სულ ადვილად. შემოაჭდო ორივე ხელი დათვის, შებოჭა, ასწია და ჩასვა გალიაში.
დედა ადრინდელ შემთხვევას იხსენებს. დასავლეთ-აღმოსავლეთის დამაკავშირებელი გზის შუაში ერთ რესტორანს მოზრდილი დათვის ბელი ჰყავდა დამწყვედული გალიაში. კარგ რეკლამას უკეთებდა ბელი რესტორანს. მანქანების უმეტესობა იქ ჩერდებოდა შესასვენებლად. ერთ საღამოს ანგლმა ბიჭებმა გალიის კარი გააღეს. ბელი გამოაჯაჯდა და რამდენიმე დამთვლიერებული დააფრთხო. იქვე მდგარი „ჟიგულიდან“ მძღოლის გვერდით მჯდარი ახალგაზრდა კაცი გადმოსტა, ბელი ხელში აიყვანა, შემორაგულში შესვა და კარი ჩაუკეტა.
- მე როდის ვიქნები მამიკოსავით ღონიერი?
- მალე, მალე იქნები.
- ყველაზე ღონიერი იყო, ხო?
- ჰო. აბა ისე ვინ დაუძახებდა შორეულ მხარეში? ბანდიტები რომ შეანუსებენ, მამიკო მიდის. ვინმეს მანქანა გადაუბრუნდება? მამიკო მივა და გადმოაბრუნებს, ნაღმა დააყენებს. ღონიერი რომაა, იმიტომ ერევა ადვილად ბოროტ კაცებს.
- სასაფლაოზეა მამიკო. მატყუებ, სასაფლაოზეა, ვიცი... - ქალს გული გაუჩერდა. ელოდა. დღეს თუ არა ხვალ, ან ზეგ... ელოდა. ეზრადებოდა, პასუხს აზნაობდა, იზებოდა. თურმე სულ ტყუილად. ქალმა ენა ვერ დაძრა. სირუმში ბიჭი გამოაფხიზლა, წამოიწია, დედას დახედა. ქალს ზედა და ქვედა ტუჩები კბილებში მოექცია და კბენდა. დახუჭული თვალებიდან კი უწყვეტ ნაკადად სდიოდა ცრემლები.
- ვითო-ვითო შორსაა დე!... კიდო მომიყვივი, რა! ვითო-ვითო კიდევ იქაა... ბანდიტების დაჭერაში ეხმარება... ნუ ტირი დე...
- არ ვტირი, არა ვტირი... - ქალი შვილს იხუტებს. ცრემლები არ ჩერდება. - რატომ არ დანვა ჩემი გაჩენის დღე!... - გაბმული ხმადაბალი ზმუილი ესმის მოულოდნელობისგან ენაჩავარდლო, გაყურსულ იესეს, ვერსეკავებული ზმუილი. უსმენდა პატარა ბიჭი დედის შეკავებულ მოთქმას და ბებიას დასაფლავებაზე მოსული მოსწრებული ქალების ნათქვამი ახსენებოდა - „მამაშენს რაც დღე დააკლდა, შენ შეგმატებოდეო“. ქალებმა არ იცოდნენ, რომ არავის დღე არც აკლდება და არც ემატება - ყველა თავისი დღის ამონაწერს შემდეგ ზემოთ, დიდ უტყვილო სახლში მიდის - იქ, სადაც აღარავინ კვდება და აღარავინ აყენებს ტყვიებს წასვლით.

ქალმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. სპეციალიზაცია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში გაიარა და მთლიანად გადაეშვა სასამართლო ექსპერტიზის სფეროში. სასპეციალიზაციო კურსის ხელმძღვანელი, ქალბატონი თამარი, პრაქტიკულ მეცადინეობებს სხვადასხვა საავადმყოფოში უტარებდა სტუდენტებს. ერთ-ერთი საავადმყოფოს მორგში შეხვდა გიორგის - მილიციელის ფორმა მასზე ორიოდვე წლით უფროსი ახალგაზრდა კაცის დაკუნთულ მკერდს და მკლავებს ვერ მალავდა.

მორგში იმდღევანდელ სტუმრობას სამწლიანი შეყვარებულობა მოჰყვა. მერე იყო ოჯახი. ერთწლიანი ცოლ-ქმრობის უღელი. რომელი უფრო ბედნიერი იყო, ხდებოდა, კამათობდნენ ახალდაქორწინებულები. თუ ერთს შეყვარებულობის დრო მონატრებოდა, ახლანდელი სჯობიაო, ეუბნებოდა მეორე. ან პირიქით - ახლა უფრო ბედნიერი ვარო, თუ იტყოდა ერთი, მაშინდელი სჯობდაო, გულში ჩახუტებულს ყურში ჩასჩურჩულებდა მეორე. არეულობის დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ცხინვალში გადაისროლეს. მილიციელები ქალაქის მაცხოვრებელთა სახლებში გაანანილეს. გიორგი და მისი ორი აზნაგა ერთ მოხუც ქალთან მოხვდნენ სახლში. შვილი და რძალი ზამთრობით ორჯონიკიძეში ცხოვრობენო, დიასახლისმა.

გარეგნული მზე (ანუ, მარა რა იყო, დე?!...)



ბიჭებმა დიასახლისის მძახალს, მერეთელ ძია გიორგას, ვაშლი ჩაალაგებინეს ყუთებში. ძია გიორგა ხშირად სტუმრობდა სიძეს - ვაშლი დაჰქონდა გასაყიდად. სიძე-ქალიშვილისკენ მიმავალი თუ იქიდან მომავალი აუცილებლად შეუვლიდა ცხინვალში მძახალს. ბიჭებმა ყუთები გიორგას „რაფში“ ჩაალაგეს და ცხინვალის გარეთ, კარგა მანძილზე გააცილეს. უკან მილიციის „ჟიგულით“ და კარგა მოზრდილი სამწვადით დაბრუნდნენ. ვაშმად დიასახლისმა ხაზიზგინები დაახვედრა. - ოქრო ხართ, ზალინა დეიდა! - გაუცინა გიორგიმ. - ყველაფერი რომ ჩამთავრდება, ჩვენთან უნდა წავიყვანოთ. დედაჩემს გაგაცნობთ, დედამაც, თქვენი არ იყოს, ობოლი გამზარდა. გინდათ, საირმეში დაგასვენებთ, გინდათ, წყალტუბოში. - მაღლობ, შულო, წამოვალ. აუცილებლად წამოვალ. ჩემი სახელი მართლა ოქრო ნიშნავს ოსურად. - დიასახლისი ოთახიდან ისე გავიდა და შემოვიდა, ლაპარაკი არ შეუნწყვტია. - ესაო, მე რომ წავალ, მერე გამოუჩინეო ბიჭებს, გიორგამა, ლეღვისააო, - ბიჭების წინ ორლიტრიანი პლასტმასის ბოთლი დადგა. ბიჭებმა ლუკმა გატეხეს. გიორგიმ არაყი მომცრო, თლილ ჭიქებში ჩამოასხა. - თქვი რამე, ტარიელ! - შეაგულიანა მეგობარი, - დაილოცე... - სიტყვა გარედან შემოსულმა ხმაურმა შეანწყვეტინა. დიასახლისი და ბიჭები გარეთ გავიდნენ. ეზოში მეზობლის ქალები შემოსულიყვნენ. ზალინას სახლის მოპირდაპირე კორპუსში მესამე სართულზე მცხოვრები მეზობლები იცნეს ბიჭებმა. კარი ჩაგვეკეტაო შიგნიდან. გიორგიმ კიბე აიღო და მათი მეზობლის სახლის აივანიდან კარჩაკეტილი ქალების აივანზე ხიდად გადადო. სამიოდე მეტრი იყო აივანს შორის. გიორგი ნელა გადაცოცდა. აივანს მიტანებული ნელში გაიშარა თუ არა, შორიდან აფეთქების ხმა მოვარდა. გიორგი უკან გადაქანდა, ოდნავ მოსრიალებულ კიბეს ასცდა და სიცარიელეში გადაეშვა. უცებ ყველაფერი აირია, ქალების კივილი, ზალინა დეიდას მკერდზე მიხუტებული გიორგის სისხლიანი თავი, ახლომახლო სახლებიდან მოვარდნილი მეზობლები და მათთან

შესახლებული მილიციელები, ზალინა დეიდას ხმამალალი, ცივი კივილი - „უბედური, შენი დედა, შულო... უბედური შენი ცოლი... ოთხი თვის ორსულიაო, ამბობდა...“ მოხუცს ექიმებმა გამოართვეს გიორგის უსულო სხეული და სასწრაფოს მანქანაში შესვენეს.

ხატვის მასწავლებელმა დავალება მისცა ბავშვებს - დედის დღის მისალოცი ღია ბარათები დახატეთო. გარეთ სუსხიანი თებერვლი ბოლო დღეებს ითვლიდა. ციოდა. საკლასო ოთახები ვერ თბებოდა - სათებერვლისბოლოდ შემას არც კი იმარაგებდა სკოლა. თებერვალ-მარტი მთელ ქვეყანაში თბილია და იმიერ საქართველოში მით უმეტეს, უფრო თბილია.

მასწავლებელს ხატვის ნიჭი მანამდე არ შეუმჩნევია იესესთვის. იყო კლასში რამდენიმე ნიჭიერი მოსწავლე - ამას არც ნიჭი ეტყობოდა და არც მაინცდამაინც დიდი სიხარულით ხატავდა. თებერვლის იმ ცივ დღეს კი ბიჭის ნახატს რომ დახედა, მასწავლებელი გაოგნდა. კარგა ხანს დასცქეროდა უხმოდ. სახატავი ფურცლის შუაში მისალოცის ოდენა ღია ბარათი ეხატა. ნახატზე ალაგ-ალაგ თოვლით დაფარულ მწვანე მინდორზე ვარდის რტო ჩანდა. ვარდის ოდნავ გაშლილი კოკორი ცაზე მონითალო შეფერილობის კაშკაშა ყვითელ მზეს უყურებდა. მასწავლებლებს მოეჩვენა, შეცივებული ვარდის კოკორი მზეს უღიმოდა. „მზეო, გაათბე ვარდი!“ - ბავშვური ასოებით გამოყვანილი ნარწერის დანახვაზე ყელში გაჩხერილი გორგალი გადაყლაპა, თავისი მაგიდიდან მაკრატელი აიღო, მისალოცი ბარათი ბიჭის მიერ საზღვრებდა შემორაგული ხაზების გაყოლებით ფაქიზად ამოჭრა და ბარათის უკან მხარზე აღმავალი სტრიქონებით წაანერა: „იესეს მშობელი, გილოცავთ დედის დღეს! ბედნიერი დედა ხართ, იამაყეთ!“ „იესეს მასწავლებელი“ - დაანერა, გაკრული ხელმოწერა დაურთო და დედას მიუტანეო, ქოჩორი მოუჩერა მოსწავლეს.

მერე რა იყო, დე?.. მერე დიდი ქალაქის საავადმყოფოში ექთნებთან დატოვებული პატარა ბიჭი და ლამზირა დეიდას მიერ ნასწავლი ლექსები იყო. დედას, როგორც პროფესიონალ ექსპერტს, ხშირად უხდებოდა დასავლეთის ამ ძველი, უღამაზესი და, ცოტა არ იყოს, ტრახახა ქალაქის მთავარი საავადმყოფოს მორგში მუშაობა. სანამ დედა მუშაობდა, პატარა ბიჭს ზედა სართულზე ლამზირას და ექთნებს უტოვებდა. ქალებმა ბიჭს კახა ძიას მირთმეული შოკოლადი ატყამეს. თვითონ ყავა დალიეს. კახა ძიას კი, დედას კურსელს და კოლეგას, ყავის წინ სამი სირჩა კონიაკი დაალევიანეს. მეოთხეზე უარი განაცხადა, მანქანით ვარო.

კახა ძია სხვა კურსელებთან ერთად სტუმრობდა ხოლმე ოჯახს. სადილად, ხანდახან ვაშმადაც რჩებოდნენ. იესეს ყოველთვის ჩუქნიდნენ საჩუქარს. იმ საღამოს დედამ გვიანობამდე იმუშავა მორგში. მე ნაფიყვანო სახლში, კახა ძიამ. დედამ იუარა, გიორგის მამიდაშვილს დაურეკავ - ან იმათთან დაერჩებით, ან ის ნაფიყვანსო. კახა ძიამ თავისი გაიტანა. ნაფიყვანა სახლში დედა-შვილი. გზაში ბიჭს ყინნი მოსწყვიტა ძილმა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩაესმოდა კახა ძიას და დედიკოს ლაპარაკი. გვიან, ძალიან გვიან ამოტივტივდება მესხიერებაში უნებურად ჩადუღებული ნაწყვეტები: „ცოდო ხარ“... „რა ცოდო, ნახე რა კაცი მზრდება!“ „ერთი კაციც ცოდოა“... „საკაცეთს აფარებული გიორგის სურათი“... „მამობას ვერა... მამობილი საუკეთესო... მეტ შვილს ნუ გააჩენ, თუ გინდა“... „ძმად მეგულები“... „ცოდო ხარ, მეც ცოდო ვარ“... „ძმად მეგულებოდი“... „ძმად დავრჩები“...

მერე იყო, სხვა საღამო. დედის კურსელი ქალის მამის დასაფლავების დღის დასაწყისიდან გამომავალი ხალხი და შორიდან მორწმუნული ნაწყვეტები: „დაიღამა მზე“, „დაიღამა, არა ბიჭო, ბუზს არ დაიჯენს გავაზე, ხო იცი!“ „როგორ ბედავ, შე ნაბიჭვარო, ყველა შენნაირი გათახსირებული სულის გგონია?“

... და ლამზირა დეიდას მიერ გაკავებული კახა ძია. მერე იყო... არა, ეს მანამდე იყო, ლამზირა დეიდამ უთხრა უკვე დიდ პატარა ბიჭს - მამაშენის დასაფლავებაზე ქალი მექანიკურად მიჰყვებოდაო კუბოს. სანამ კუბოს სახურავს დააჭედებენ, ჭირისუფლები ემშვიდობებიან მიცვალებულს. ქალი დედამთლის გვერდით დაროქილი დაჰყურებდა ქმარს. დედა შვილს ეხვეოდა. წამოყენებას არ თუ ვერ ბედავდნენ. ქალი ქმრის წვივს მოეფერა - შარვლის ტოტი აუნია და ბავშვობაში ლახტის თამაშის დროს წვივზე მოხვედრილი სამხედრო ქამრის ბალთის კვალს დახედა. მოგძო ნაბალთარი უთმო იყო, ხელოვნურად გაპრიალებულს ჰგავდა.

დედამთილი შვილს მხრებში ჩააფრინდა. ხელები შესამჩნევად უდაგაგებდა, გეგონებოდათ, შვილს გასალევიებლად აჯანჯლარებსო. ქალს ქმრის ლავინის ძვალთან ნაცნობმა ხალხმა მოსტაცა თვალი. ნამით მოეჩვენა, რომ გიორგის ძველებურად ძალუმად აულ-ჩაუდიოდა მკერდი. უცებ ქალს ქალბატონი თამარი და მის წინ ეს-ესაა მინიდან ამოღებული ჩონჩხის ძვლები გაახსენდა. - წვივის ძვალს შუაში ბლავი საგნის კვალი ამჩნევია. მკერდის ძვლები დამტვრეულია, მაგრამ არა გატეხილი. ეს შემდეგ, გულზე დაყრილი მინის სიმძიმით ჩანგრეული კუბოს კვალაია. - შორიდან მოვიდა ქვეყანაში ყველაზე ცნობილი ექსპერტის გარკვევით ნათქვამი სიტყვები, - როგორც წესი, დასაფლავებიდან მალე, რამდენიმე დღეში ხდება. ამ შემთხვევაშიც მიცვალებული... - ქალმა უმწეოდ მიმოიხედა. თავი რამდენჯერმე დააქნია და ქმრის კუბოს დაემხო. ჭირისუფლებმა და მეზობლებმა გონწასული ქალი და მასზე დამზობილი დედამთილი ერთად განარიდეს კუბოს. - შენც ნუ დამლუპავ შვილო!... შემარჩინე ჩემი გიორგის სისხლი და ხორცი... გადამირჩინე ჩემი შვილის სარკე!... - დედამთილი თვეების ფეხმძიმე რძალს გამოარიდეს და ხელში აყვანილი გულწასული ქალი სასაფლაოს ეზოს გარეთ მდგარი სასწრაფო დახმარების მანქანისაკენ გააქანეს.

- მერე, მერე რა იყო, ლამზირა დეიდა? - წლების მერე შეკითხება დედის უახლოეს დაქალს. დედა სამსახურში წავა და დიდ ბიჭს, უკვე სტუდენტ იესეს ლამზირა დეიდას მიუჩენს მომვლელად საღამომდე, დედის მოსვლამდე. ფილტვების ანთება აიკიდა ბიჭმა მთაში ხეტიალისას. დედას ეშინია, თბილისში არ გაიქცეს და რაიმე უბედურება არ შეიმთხვეოს მოურჩენელი ანთების გამო. - მერე? რა მერე?!... შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ და მეტი უნდა იცოდე. კახა ძიას დედაშენი უყვარდა. დედამ კი, მამაშენს ვერ უღალატა... არ უღალატა. შენ რომ დიდი ყოფილიყავი, იქნებ... რა, ვიცი, იქნებ... - მე რომ დიდი ვყოფილიყავი, რას ვიზამდი, რა ვიცი?!

- ალბათ არაფერს. არ ვიცი, შვილო. თუმცა კახაც შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო, ვინ იცის. - კახა ძია, ჩემი ბავშვობის ერთ-ერთი ძალიან, ყველაზე ძალიან ნათელი ურტოლია, ლამზირა დეიდა, ეკეთი კაცები ცოტანი არიან. - ცოტანილა არიან, იესე, კახასანიერები. ერთი გადაკრული სიტყვა რაა, ისიც კი... - გარედან შემოსულმა ხმაურმა ლამზირა გარეთ გაიტყუა. მალე მობრუნდა. - თქვენი მეზობლები ისევ ძველებურად წყვეტენ ერთმანეთს?! - ხო, ლამზო, ისევ იმ ბიჭი მეტრი მინის გულისთვის. ვჯიბსა და ბაჭუსაგან მოყოლებული, ბუბია ამბობდა, ყველა თაობა აგრძელებსო. ახლა ესენი აგრძელებენ - მეხუთე თუ მეექვსე თაობააო. - იმედია, მომავალში განყდება ეგ საზიზღარი ჯაჭვი და შერიგდებიან. - ვერ უღალატა თუ არ უღალატა, ლამზირა დეიდა? - პატარა რომ იყავი ლამზოს მეძახდი. ვერაფრით დეიდას ვერ მიგაჩვიე. გაიზარდე და დეიდას მეძახი.



- ყური აარიდე თუ არ იცი, რა მიპასუხო?
 - არ და ვერ უღალატა, იესე!... მამაშენს არ ეღალატებოდა და დედაშენი კიდევ ისეთია, არ უღალატებდა. შემოილილი სიყვარული იცოდა ამ ქალმა, მამაშენივით... შემოილილი.

 - მერე დე, მერე რაო, ელვარდში? შეირიგა შვილი და სიძე? - ნღების მერე სკაიპის სიკეთეს მიაჩნია დედა იესემ.
 - „ტამტირიტირი-ტიმტირიტირი“ შეიყვანეს მესამე დღეს სახლში და კაი ვახშამიც გამართეს.
 - მართლა? არ აზვიადებ?
 - არ ვაზვიადებ, მართლა არ ვაზვიადებ. კაბები მაინც რაღატომ დაუჭრა და დაუნვა?! ხო გამოადგებოდა ახლა. ცოტა არ იყოს, ხელმოკლე ოჯახიაო, ყანჩაველებზე თქვეს. ბიჭად ბიჭს კი, ელვარდია დეინუნებდა?! ბეჩა!...
 - შე ზაფხულამდე ვერ ჩამოვალ.
 - აღდგომას თუ მოგიხერხდება, ჩამოდი, რა! ამდენი წელიწადია საფლავზე მხოლოდ ქალები გავდიოდით. უკვე წლებია, რაც ბებიაც წავიდა, მარტო გავდივარ. კაცი მომესწარი, შე კაცი, საფლავზე შენ უნდა გახვიდე ანი.
 - თუ მოვახერხებ, ჩამოვალ. გპირდები, დე!
 - შენი საქმე არ გაიფუჭო. ისე, ეცადე, ჩამოხვიდე.

 - მერე, დე... წლებს მერე მაინც თუ გაიგო?
 - დრო შეიცვალა დედა! ახალგაზრდებს აღარ გვერათ ძველგაზრდების.
 - შენ ეს მითხარი, როგორ ხარ?
 - კარგად.
 - ხმა არ მომწონს შენი, მართლა კარგად ხარ?
 - კი, კარგად. შენ რაგა ხარ, დე? შენი თავი მიმყოფოს კარგად ღმერთმა და სხვას არ დავეძებ.
 - აი, შეხედე, აქ დაიბადა ინტერნეტი.
 - რა დაიბადა?
 - ინტერნეტი. რომ გელაპარაკები და მხე-

დავ, სწორედ ეს დაიბადა აქ ოცდაათიოდ წლის წინ.
 - შენი შვილის დაბადებას როდის მომასწარებ?
 - მოიცა რა დე, გეჩქარება?
 - შენ გეჩქარება. ოცდაათს გადაციდი. ანი, აგვიანებ. მეც ვბერდები.

 - გაგოქმდა ბილეთი, ხომ?!
 - ბილეთს დავეძებ?! ხომ ხარ კარგად? ხო ხარ ფრთხილად?
 - გავიწყდება, ექიმი რომ ვარ? კარგად ვარ.
 - გადავაშენებთ ამ ოხერ კორონას და ჩამოვალ.
 - შენ იყავი კარგად და არ დავეძებ...
 - ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.
 - თუ მეშინია, შენი მეშინია მხოლოდ. სხვა არაფრის.
 - მე კარგად ვარ, შენ იყავი ფრთხილად. ინფექციონისტებს ეხმარებო, ლამზირამ.
 - არ დავეძებარო?
 - კი, მარა, ფრთხილად. შეილიშვილი ხომ უნდა გაზარდო?! თუ ლამზირა გაგიზრდის? ლამზოს თავისები ჰყავს დასაზრდელი.
 - გავზრდი. შენ ოღონდ მალე მომასწარი, გავზრდი.
 - ...

 - ლამზო, შენა?! როგორ ხარ? დედაჩემი სადაა?
 - ვერავის დავარეკინე შენთან. ვერავინ გაბედა... არავის უნდა საშინელების მაცნე იყოს...
 - მითხარი, რა ხდება... დედა?!...
 - პო, ნაგვეცა, იესე, შვილი... მე კი დაქალი და მეგობარი კი არა, ღვიძლი და, ჩემი ღვიძლი და მომიკვდა...
 - როგორ?... რა მოხდა? კვირას ველაპარაკე... კარგად იყო...
 - გუშინწინ ზედა, მალალ სოფელში ნაპყოლია ავადმყოფის სანახავად. ცხელება ჰქონდაო... კორონაც შეიძლება დაჰქონებოდა, მა-

რა დედაშენს ხო არაფერი აჩერებდა!... გვიან წამოსულან. გზაში წნევას დაურტყამს. სისხლი ჩაექცაო. ექიმებმა ჰაერის მწვავე უკმარისობა დაწერეს...
 იესეს აღარაფერი ესმოდა. ველარაფერს უყურებდა ეკრანზე. ავის მაუნყებელი ლამზირა დეიდა ნანყვეტ-ნანყვეტ ისროდა ფრაზებს და ხმამაღლა მოთქვამდა.
 - ბებიას სიკვდილი მე გაგაგებინე. ახლა კიდო... რა მეშველება იესე... შენ რა გეშველება?... - ეკრანს არ უყურებდა ლამზირა დეიდა. თავდახრილი მოთქვამდა და შიგადაშიგ საკუთარ ხელის მტვევანს კბენდა.
 მერე, ეკრანზე ასოები გაბაცდნენ. ქალი გაორდა, გასამდა...
 არ ახსოვს, გონს როდის მოეგო. როცა გამოერკვა, კომპიუტერის ჩამქრალ ეკრანს იყო თვალებით მიცივებული. კომპიუტერი დაქცა. ხელის მტვევებმა გაუზარებლად გამოასახეს გული, რომელშიც სახე ისე ჩამალა, როგორც ერთ დროს ფერდში, დედის მარჯვენა ძუძუსთან მალავდა...

 ზურგზე ხელის ფრთხილმა შეხებამ გამომარკვია. ჯიბის ტელეფონის ეკრანს თვალი მოეწყვიტე და რიგს გაეხედე. ხუთიოდე კაცილა იდგა ჩემს წინ. ყველას პირბადეები ეკეთა. ზოგი რეზინის ერთჯერადი ხელთათმანებითა ჩემსავით. ორი უკრაინელი მეგობრის მაგიერ ფული უნდა გაეფუგზავნო მათ ოჯახებს. სააღდგომოდ უგზავნიან. მათ არ შეუძლიათ ქალაქში თავისუფლად გასვლა, მუშაობენ. მე შემოიღია და შევბირდი, გადავიგზავნი-მეთქი. ამიტომ ვდგავარ „ვესტერნ იუნიონის“ ოფისის წინ რიგში.
 მეორედ შემეხო ვილაც ბუჭზე. შეგებრუნდი.
 - ვა... იასონ!... - ასე ვეძახდი ჯეისონს. შავგვრემან მალალ ბიჭს ლათინური ამერიკიდან. აცტეკების და მაიას ერთობლივი შთამომავალი ხარ-მეთქი, ვებუძრებოდი.
 ყოველთვის მსიარული და ამყოლი იასონი უჩვეულოდ მოწყენილია. ვხედავ, თვალდათვალ როგორ ეზრდება წვეილი ცრემლი. ჯიბის ტელეფონის ეკრანი მოაქვს ახლოს, ადვილად ნასაკითხად.

„შე გაჩერდა“ - ეკრანის შავ ფონზე თეთრი მოზრდილი ასოებით შესრულებულ წარწერას მაჩვენებს. უნებურად გზავნილის გამოქვეყნების დრომ მიიქცია ყურადღება. ნახევარ საათზე ნაკლებია გასული, რაც დაუნერხია და ასევე მეტიაო გამოხმაურება-კომენტარი, წერია გზავნილის ქვემოთ.
 - ?!... - ავხედე.
 - დედა მომიკვდა... გუშინ...
 - ვიზიარებ, ღმერთმა გაანათლოს.
 - გმადლობ, ძმაო. - ჯეისონმა პირჯვარი გადაიწერა.
 - მარტომადიდებელი თუ იყავი, არ ვიცოდი, ჯეისონ!
 - ცოტანი ვართ იქ, ჩვენსას, მთებში. სა-მიოდე სოფელი.
 - ბედნიერი აღდგომა მინდოდა მესურვე-ბინა და...

- გმადლობ, ძმაო - თათის წვერი დაწვეხო, მკერდზე, მიბრუნდა და თვალებს ახვალდა. ჩემგან ორი კაციო უკან, - ჯეისონმა ისევ ტელეფონს დაეკბოდა. მეგობრების ფული გადაეგზავნე, გამოვედი, ჯეისონს ვანიშნე, გარეთ დაგელოდები-მეთქი და მანქანისკენ წავედი.

- ახლა შენ კითხულობ ტელეფონში რა-ლაცას, ალბათ, ძალიან, ძალიან ძნელს. მტირალი სახე გაქვს. - უკანა მინაზე მოაკაკუნა ჯეისონმა.
 - დავექი, სახლში წავიყვან. მოგიყვები, რას ვკითხულობდი.
 ჯეისონმა მანქანას შემოუარა და უკანა სავარძელზე დაჯდა.
 - „ქრისტე აღდგა, დედა!“ - ასე ჰქვია ამ პატარა ნაწარმოებს. - ერთი თეთრი სულის ადამიანი, შესანიშნავი მწერალი, კრიტიკოსი პოეტურად წერს დედაზე და ზეცაში ულოცავს აღდგომას. თვითონაც ახლახან გარდაიცვალა.
 სარკეში გავიხედე უკან - ჯეისონი გაფართოებული თვალებით მიყურებდა. მანქანა ტროტუართან მივაყენე, ტელეფონი დავაძრე და ფაილში, რომლითაც ერთმა შესანიშნავმა ადამიანმა ორიოდ საათის წინ თამაზ ნიწვიძის „ქრისტე აღდგა, დედა!“ გამომიგზავნა, ერთი ადგილი მოვძებნე და უთარგმნე:
 „ერთადერთი რამ, რაც ამ გაუსაძლის ყოფაში თავსაყრულად გვაქვს, შაერია და... ღმერთო, ასეთი რა დავგომავე, დედა შაერის უკმარისობით რომ მომიკალი?!“

უკანიდან შეკავებული, მძიმე კვნესას რომ ჰგავს, ისეთი ხმა მოწვდა ყურს. მოგტრიალდი. ჯეისონს სახე ხელეხში დაეშალა და მხრები უცახცახებდა.
 - არ მინდოდა, მამატიე, ჯეისონ!... არ მინდოდა... - როგორადაც მივწვდი, ისე მივეფერე მხრებზე.
 - ჩემზე დაუნერხია... დედაჩემზე დაუნერხია... დედა შაერის მწვავე უკმარისობით მომიკვდა...
 - არ მინდოდა, მამატიე... - ისევ უაზროდ გაიმეორე და მანქანის სასაბურთო უჯრედან ორი ბოთლი წყალი გამოვიღე. ერთი, გაუსხნელი, ჯეისონს მივეცი. მეორე მე მივიყუდე და დავცალე.
 რამდენიმე წუთში ჯეისონის სახლთან გავაჩერე. გადავიდა და ნინა სარკემლში ჯიბის ტელეფონი შემოყო.
 „ქრისტე აღდგა, დედა! ქრისტე აღდგა მამა!“ - თეთრი მოზრდილი ასოებით ეწერა მწიფე იასამინისფერ ფონზე.
 - დედაშენს მიულოცე ჩემგან აღდგომის დღესასწაული, ძმაო. მე კი ასე ყველა დედას და ყველა მამას ზევით მიულოცავ - ყველას, ვინც ზემოთაა.
 - გმადლობ, ჯეისონ!
 - იასონ!... დაგავიწყდა?
 - გმადლობ, იასონ, ძმაო!.. მიულოცავ, აუცილებლად მიულოცავ!
 ვულოცავ, სანთლებით განათებული სააღდგომო მაგიდის გარშემო ლოცვით მოზურჩულე დედას ვულოცავ - ქრისტე აღდგა დედა!

მხატვარი იაგო ნიკოლაძე

ნიმე ბოკუჩავა


ისევ პრალაში ვარ. ამჯერად უკრაინელ მეგობრებთან ერთად ეცხოვრობ ბინაში. ბიძა-დისშვილი ჩემზე ადრე ჩამოვიდნენ კივიდან და ახლა მეც მიყოფენ თავიანთ საცხოვრებელს. - ყველანი დავეტყვით, დიდი ბინაა! - ამბობს იური. ის ბალერონია „ლატინა მაგიკის“ თეატრში. წამყვანი სოლისტი გახლავთ. მასთან ერთად კიდევ სხვებიც არიან უკრაინელები დასში. ერთ-ერთი გავიცანი - ნადია ჰქვია, გველს ცეკვადა „ოდისეაში“.
 ბიძა - ვალოდია ცოტა უფემური კაცია. სამაგიეროდ, სადილს გვიმზადებს და ჭურჭელსაც რეცხავს. ადრე, კივიის ოპერის თეატრის სცენაზე იდგა თურმე და შესანიშნავად ასრულებდა არიებს ცნობილი ოპერებიდან. ახლაც, როცა ცოტას შეთერება, წამოიწყებს ხოლმე, საკმაოდ სუფთა ხმით, არიიდან ნანყვეტს. ასეთ დროს ჩები მეზობელი კედელზე აკაკუნებს და ჩვენ გვეცინება, მაგრამ ვალოდია ძიას მაინც ვაჩუმებთ. კარგია უკრაინელებთან, საინტერესო ხალხია: მოსაუბრე,

გახსენება

ქალვება ჩამს უკრაინელ მეგობრებს
 განათლებული და მსოფლიო კულტურასთან ახლოს მყოფნი...
 გრილი ზაფხულის საღამოები იცის პრალაში. იურიმ ტორტი გამოაცხო ლუმელში, კრემიც თვითონ გათქვიფა და მერე ბისკვიტი მორთო. მე გაფაციცებული ვადევნებ თვალს მის კულინარიულ მომენტებს და თან ვცდილობ, გავამხნევო:
 - ყოჩაღ, იური. აი, მესმის. მე ვერ შევძლებდი, ღმერთმანი! შენ საქართველოში უნდა წამოხვიდე და ქართული ოჯახი შექმნა! - ვუბნები და ორივენი ბოლო ხმაზე ვხარხარებთ.
 მაგიდასთან ვსხედვართ, ჩეხური ფაიფურის ფინჯნიდან სურნელოვან ჩაის მივირთმევთ ტორტთან ერთად და ტკბილად ვმასლაათობთ. სასიამოვნო სიგრილე შემოდის ღია ფანჯრიდან და ჩვენც საოცარი სიმშვიდე დაგვეფუფუნება ხოლმე ასეთ წუთებში. ვგრძნობთ, რომ ამ დიდებულმა ქალაქმა ჩვენი, ქართველი და უკრაინელი ადამიანების გუ-

სალებში, სადაც ერთ-ერთ კედელს ჩემი მიძღვნილი საჩუქარი, ქართული ხანჯალი ამშვენებს. „დე, ხანჯალმა იცოდეს და გადაწყვიტოს ამ ორი გმირი ერის მომავალი ბედი!“ - ვამბობ...
 ფანჯარასთან ვზივარ და სიგარეტს ვენევი. ვალოდიას არ სიამოვნებს სიგარეტის კვამლი, ისევ ბუზღუნებს, მაგრამ ჩვენ ორნი ვართ და ვერ გვერევა. ტელეფონზე რეკავენ, ვალოდია პასუხობს და გვამცნობს, რომ სტუმრები გვეყოლება: ამერიკელი ცოლ-ქმარი. ქალი ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის სოლისტია, ხოლო მეუღლე მათ საელჩოში მუშაობს, დიპლომატია. დავფაცურდით და ვახშმის მზადებას შევუდევით. ვალოდიამ თავისი საფირმო კერძი მოამზადა: კოტლეტები კიევურად ყვავილოვანი კომბოსტოს გარნირით. მე ხაჭაპური დავაცხვე ტაფაზე, ხოლო იური ისევ დესერტს მიხვდა და საუკეთესო ორცხობილები დასვა ლუმელში.
 ძვირფასი სუფრა გავშალეთ, სტუმრებიც მოვიდნენ: ფუმფუ-ლა, დიდი ლაბაბით, მომღერალი ქალბატონი და ხმელი, მალალი და

უღართმიანი მისი მეუღლე. ორივენი ძალიან მოგვეწონა, განსაკუთრებით მამაკაცი. ის კარგად ერკვეოდა ჩვენს, პოსტსაბჭოური ქვეყნების პოლიტიკაში.
 მეუღლემ რატომღაც არ ისურვა თავისი ვოკალით ჩვენი დატკბობა, სამაგიეროდ, ბევრი ისაუბრა ევროპულ კულტურაზე. პო, კინდამ დამავიწყდა, სტუმრებმა, საჩუქრად საუკეთესო იტალიური ღვინო მოგვართვეს, გავხსენით და დავაგემოვნეთ. ერთმანეთი გვიყვარდა ამ ლამაზ, ევროპულ ქალაქში...
 ზაფხულმა მალე ჩაიარა, დასრულდა ჩვენი საღამოები, შეხვედრები; საინტერესო ადამიანების გაცნობა, მათთან საუბარი მოსაგონრად დარჩა. შინ ვზივარ, ვილაც მირეკავს ტელეფონზე. გავოცდი. - კივიდან თქვენთვის გადმოსაცემად კონვერტი გამომატანეს! - მეუბნება მამაკაცის ხმა. მეორე დღესვე შევხვდი, გამოვრთავი კონვერტი, მადლობა გადავუღებ და მამაშენე გავხსენი. კონვერტში ჩვენი პრალაში გადაღებული ფოტოები ეწყო. იურიმ გამომიგზავნა. ვიგრძენი, რომ ჩვენი მეგობრობა კვლავ გრძელდებოდა...



დალი გაზიჟილი

ინგ. ყნებყნაძე...

ისე, უნებურად,
ამ დღემ გამახარა,
არც წვიმით მოცუბს,
არც მზით, არც ქარია,
ყვავილებს შემორჩი
ფიქრის ანაბარა,
ყაყაოც გაშლილა,
როგორ მიხარია!
ვინრო ბილიკები
მოჰგავს საქანელებს,
როგორც გულის სათქმელს,
გზა წყალს აგუბებდა,
მინას სიყვარული
როგორ ასხვავებდა,
ლექსი ამიფრინდა
უცებ საგულედანი!

ჩანურავს ბინდი
მოწყენილ მზეს და,
ჩაძენძავს წითლად
ნისლებს მუჭიდან...
ცა-ფიროსმანი
ლამესთან ერთად,
ფერებს გადმოღვრის
მთვარის ჭურჭლიდან.

მოდარაჯე ფიქრს
არ ძინავს,
ქარს სურნელი
მოაქვს შროშნის,
ცაა ისე ვარსკვლავმძივა,
მკერდზე მთვარის
დიდი ბროშით...
შორს, ვარსკვლავთა
ვერცხლის ნართებს
სხივად გაშლის
ზეცის კიდე,
ვიდრე ციურ ბრილიანტებს,
ნამი ლელს
არ ჩამოჰკიდებს

მე რომ წავსკო...

ცა სამყაროს
ალერსით არ დაილლება,
ვარსკვლავები მდინარეში
სულს სარკავენ,
ჩემი ნატვრის
მირონიც რომ დაიღვრება,
ცა დარჩება
ისევ ლურჯად მოკამკამე!
მე რომ წავალ,
მოვინატრებ ქართლის სამზერს,
მტკაველ-მტკაველ
ზედ გულზე რომ ენაკეთება,
მე რომ წავალ,
ამ მწვერვალებს, ამ ცას, ამ მზეს,
ჩემიული სიყვარული მოაკლდება!

ყრცის ყვავილი

პატარაა, ცისთვალაა,
წვიმის ბროლით ნაბანია,
ეს აღმართი მისთვის რაა?
წინაპრები აბარია!
გარდაცვლილთა სანთლად დნება,
ესეც ალბათ ღვთის ნებაა,

სხვა ყვავილი ვერცა ხედება
რაც ურცისთვის ღირსებაა!

მზე კვლავ ამოდის
მაცდური სხივით,
აცივდა, რიჟრაჟს
ვასწრებდი წინათ,
და მონატრების
ურუნტელივით
ბალახზე თრთვილის
ენძელა ბრწყინავს.

მარცხის ჭყრჭელი

ეს მამა-პაპის მინა-წყალია,
გულს სიყვარულად შემონახული,
მინდვრის ყვავილთა ჭრელი ქარია,
ნამის მძივით და ცვარის საყურით.
ხან გასაჭირში, ხან სიმხნევეში,
გზები გვიკვალავს შეუვალობით,
როგორც წვეთს წვეთი, მადლი ჭურჭელში
ემატებოდა უფლის წყალობით.
გულიდან გულში ამ გრძნობას, უჩვევს,
გამოუვლია, ან როგორ დათმობ,
ასე წვეთ-წვეთად ვავსებ იმ ჭურჭელს,
ამქვეყნად მოსვლა რომ გავამართლო.

ცრემლი

ხსნა იყო ცრემლი,
უსასოოს ნუგეში, შველა,
დღემდე რომ ასე
მინვავს წამნამებს,
მივაბიჯებდი ეკლის გზაზე –
მთლად ფეხშიშველა,
შენი აქ ყოფნის
ვითვლიდი წამებს!
ის ოქროსფერი შემოდგომა
გამომყვა დარდად,
მიმოზების და ნარგიზების
ის სიფერმკრთალე,
ლამის სიჩუმეს აფხიზლებდა

ოხვრა ანაზდად
და მდინარეში თავს იხრჩობდა
მწუხარე მთვარე!

საფარა

განვიმდა... გზას ველარ ავივლით,
ლურჯი ცა შხაპუნამ დაფარა,
შორს დარჩა ოცნების ყვავილი –
საფარა, საფარა, საფარა!
ო, როგორ მინდოდა მეც შენთან,
თან გამომაყოლე გულს ჯავრი,
ფიქალს ვერ გიკოცნი თეთრ ქედანს,
აქედან დაგსახე პირველი!
გულს მოენატრები, საფარა,
ერთხელაც ამოვალ, გპირდები,
სადაც წვიმს, მზე ცაა თაკარა,
სად ფრენენ სამოთხის ჩიტები!

გზები

მოსხვი და დაგხვდა გზები,
გზები მოკლე, გზები გრძელი,
გზა-გზა მინდვრის ყვავილები,
საუფლოდან ცვარნამცვრევი.
გზებს მიენდე სხვათა გვერდით –
ზოგჯერ ღებნით, ზოგჯერ დარდით,
ხან არჩევანს ვერ მისდევდი,
ხან ცხოვრებით გათამამდი!
გზებმა ვის არ შეგახვედრა,
გზებმა სად არ მოგატარა,
თუ გეგულვის სითბო შენგან
გაცემული, თუნდ პატარა!
გზა დასასრულს გვერდს ვერ უვლის
და სიცოცხლეც გადაივლის,
მაშინ სითბო შენეული
შენს მაგივრად, ქვეყნად ივლის!

განთიარა

მზე ვერხვის ფრთებზე ლამუნობს,
ფრონის ხეობის ქედანი,
მთელი ღამეა, მამულო,
რაც შენ ველარა გხედავდი!



ია ხასანია

გაზაფხული, უსიმპტომო, გადგა გვერდზე,
თითქოს კაცთა ცოდვებისთვის სოფელს ვსჯიო,
ფანჯრების წინ ცერად გაბმულ სადენებზე
დაკეცილა ჩიტუნების სოლფეჯიო.

ვაი, თუ ვერ გაგვიგია, რაც მივქარეთ,
თუ რაც მარცხნივ გვეგულება, მარჯვნივ არი...
აქეთ-იქით დაატარებს ფიქრებს ქარი –
გალის და ცის ჩიტების თარჯიმანი.

მზის ერბოში ჩაიქნება,
ჩაელვრება ვერანდებს,
რაც შენს კარებს ნატანებულ
ქარს სიზმრებმა ვერ ანდეს,
რადგან არ სურთ, ახდენილი
ცხადში გამივერანდეს,
რადგან შენ ხარ, რაც იქნება
და რაც იყო შენამდე...

ვხედავ, არ ეყოთ ჩიტებსაც კი
ზეცის თაბახი,

სადღაც ზღვარს იქით გასრიალდნენ...
ისევე, როგორც აბზაცის ველზე
ვერ ატევენ სიტყვებს ბავშვები.

მგზავრს ვნატრობ, წვიმა მორბის შორიდან
და გალუმბული ვამბობ, „ახია“;
მეც წვიმასავით იმ დროს მოვდივარ,
არსაიდან რომ არ მეძახიან...

რისი ჩიტია სურვილის ჩიტი,
ბუდეს სიცივის გამო დაეხას?
თოკზე ჰკიდია ყაყაჩო ჩითის
და ელოდება გამოდარებას...

მაგრამ თუ წვიმა არ ფიქრობს ასე?..
და თუ ფერებიც წავლენ ბაცებად?..
გთხოვ, მაპატიო მაისის გზაზე
ეს უეცარი ნაბარბაცება...

არასდროს ვიტყვი მე სამდურავს ბედისას, რა მრჯის,
თუ ორი რამის ყურისგდების უფლებას დამრთავს –
საათი მქონდეს მომართული გულის და მაჯის,
ერთი რომ სწორ დროს აჩვენებდეს... მეორე –
მართალს...

მოვდივართ, გზას ერთად მოვყვებით,
გარშემო მზეა და ბრწყინავს წრე,
ესაუბრობ, შენ შენსას მიყვები,
არ მისმენ,
ხელს მიშვებ,
წინ მასწრებ.
მთის გახსნილ ვენიდან წყლისდენა
ჩქარდება... ვნელდება... ტანმორჩილ
ხეების ჩრდილებთან ვწყვილდება...
ფეხს ვითრევ,
ვჩერდები,
ჩამოვრჩი.

არავინ იცის, გრძნობა მიცრეცილ
ღრუბლებს რომ გაჰყვა, მოვა რა გზიდან...
გულს რომ კაეშნის ნება მივეცი,
ცამ ცისარტყელას წარბი აზიდა.

ისევ მოიხრის მუხლებს ამური,
ისევ მოზიდავს ისარს თავიდან...
მაგრამ სად არის ის საამური
მიზანი – ფერთა სისადავიდან?..

ხეებმა იწყეს ამოქარება –
ნოემბრის სევდის, სულის სახლს რომ რევს...
გადავიწყეს რაც კი ქარებმა,
ხმელმა ტოტებმა დაიმასსოვრეს...

ჭმუნავს ფოთოლი, თუ მინის გულმა
მიგრძნო, ვლირვარო მე ამ ზვარაკად...
და რაზეც დღემდე ცრემლები დუმან,
მე ახლა წვიმა მელაპარაკა...

ეს თებერვალიც ნაბაკუნდა
წვიმის ქუსლებით...
და გაზაფხულის
პირველი დღის მზე
სულ პირველ კვირტთან
ხარობს პირველი დილის უფლებით.

რა გაზაფხული... რა გაზაფხული...
ვილაც რჯულძალლი ზედ გვამზე ლოთობს,
მდინარე არა... გზად სისხლი შხუის,
დენტის სუნი აქვს ყვავილს და ფოთოლს...

კალენდარს ხელში აჭრის ავბედი
და თარიღები თრთიან უცვლელად...
ჩაიფურცლება იქვე რამდენი
მზის ჩასვლა, მზეთა ამოუსვლელად.

ერთი საკამათო ფრაზისა

ზუსტად 35 წლის წინათ, „ლიტერატურული საქართველოს“ 1987 წლის 27 აპრილის ნომერში საკამათოდ მომჩვენებია და საგანგებოდ გამიხაზავს აკაკი ბაქრაძის ერთი ფრაზა მისი წერილიდან „ერთიანი ძალით“, რომელშიც ავტორი ქართული კინოს იმდროინდელ პრობლემებს განიხილავს:

„ხელოვანი, უნდა თუ არა მას ეს, ცდილობს თუ არა ამას, მინც ან იდეოლოგია ან პროპაგანდისტი. იდეოლოგია – თუ ახალი თემები, ახალი პრობლემები, ახალი თვალსაზრისი და სტილისტიკა მოაქვს. პროპაგანდისტი, თუ გატყუებული, ძველი, მოყრდენილი გზით დადის, დრომოჭმულსა და გაცვეთილს იძიებებს“.

აკაკი ბაქრაძე უკვე მაშინ, და მერეც ხომ – მითუმეტეს, ჩვენი საზოგადოებრივი აზრის განმსაზღვრელი და წარმართველი იყო არა მარტო კინოსა თუ ზოგადად შემოქმედების საკითხებში, არამედ საერთოდაც, მაგრამ ვერც მაშინ გაეგვა და არც ახლა მესმის, რატომ არის აუცილებელი, რომ ხელოვანი ან იდეოლოგი იყოს და ან პროპაგანდისტი?!

არა ერთი და ორი ხელოვანის დასახელება შეიძლება როგორც ლიტერატურის, ისე კინოს სფეროდან, რომელიც არც იდეოლოგი ყოფილა და არც პროპაგანდისტი. შორს რომ არ წავიდეთ, მწერლობაში ასეთი იყო, ვთქვათ, გურამ დორაბაშვილი, კინოში – ვთქვათ, მიხეილ კობახიძე.

თუმცა, როგორც ჩანს, აკაკი ბაქრაძე სიტყვა „იდეოლოგ“ რამდენადმე სხვა მნიშვნელობით ხმარობს და სულაც არ გულისხმობს იდეოლოგიას, როგორც ასეთს.

სამი ასოსი, კრისიკაპისა და საფოსტო მარკებისა

2022 წლის 24 თებერვალს, როცა რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, პუტინი და მისი გარემოცვა ვარაუდობდნენ, რომ ეს ომი, ანუ „სპეციალური ოპერაცია“, როგორც მას მოყვრებთ უწოდებენ რუსული ოფიციალური და საინფორმაციო საშუალებებში, ძალზე ხანმოკლე იქნებოდა, მაგრამ მათი გეგმა და ჩანაფიქრი არ გამართლდა.


წიგნებში ჯერ არ ასახულა, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომი მსოფლიო პრესისა და ტელევიზიის, მასმედიისა თუ ინტერნეტის შეუწყნებელი ყურადღების ცენტრშია. და აჰა! – მას უკვე საფოსტო მარკაც მიეძღვნა.

ომის 50-ე დღეს, 14 აპრილს უკრაინის საფოსტო ადმინისტრაციამ მიმოქცევაში გაუშვა საფოსტო მარკა, რომელზეც კუნძულ ზმინის 24 თებერვლის საყოველთაოდ ცნობილი უპიზოდია ასახული, როცა კუნძულის მცირერიცხოვან დამცველთაგან ერთ-ერთმა რუსეთის შვიდ წლის ფლოტის ფლაგმანი, კრისიკა „მოსკვა“ იმ ცნობილ მისამართზე გაუშვა, რომელიც რუსულ ენაზე სამსოიანი სიტყვით გამოიხატება და ქართულადაც სავასოიანი სიტყვით ითარგმნება. მარკის დიზაინის ავტორია ბორის გროხი. მისი პროექტი სოციალურ მედიაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად შეირჩა.

სხვათა შორის „მოსკვა“ რუსეთ-საქართველოს ომშიც მონაწილეობდა 2008 წელს და რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეს შეინარა. სწორედ „მოსკვამ“ დაგვიბოძა მაშინ ფოტის ნავსადგური და ჩაგვიძირა ერთი სარაკეტო კატარა.

და აი, 2022 წლის 14 აპრილს „მოსკვა“ თვითონაც ჩაიძირა. კიევში ახალი საფოსტო მარკის პრეზენ-

ტაცია ზუსტად დაემთხვა რუსული კრისიკის ჩაძირვას. როცა იგი უკრაინელმა ფარისკაცმა რომან პრიბოგმა სამ ასოზე გაუშვა, ძველად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ მისი სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდებოდა, ხოლო კრისიკი „მოსკვა“ მითითებულ სამასოიან მისამართს მაინცდამაინც ზღვის ფსკერზე მიაგნებდა. კრისიკი 13-14 აპრილის ღამეს ჩაიძირა. ეს სწორედ ის ღამეა, როდესაც 110 წლის წინათ „ტიტანიკი“ აისბერგს შეეჯახა.



ლიბროკუბიკულარისტის შთანაწერები

კაატა ნასვლიშვილი

კრისიკის ჩაძირვა მინც რაღა იყო, ეს რა უსინდისობააო! – აღმოფთვებულან „ოვრტეს“ ოლგა სკაბევეა და მისი ტელემძაკები, – ჩვენ ერთ უბრალო სპეცოპერაციას ვატარებთ და ისინი კიდევ თურმე მართლა გვეომბებიანო!

ვინ იცის, ისიც გაიფიქრეს, რატომ მაინცდამაინც „მოსკვა“? რომელიმე სხვა ქალაქის სახელი მაინც რქმეოდა და მაშინ დიდად არც ამას შევიმჩნევდით „კურსკივით“!

ახალი საფოსტო მარკის პრეზენტაციაზე კიევში თავად იმ ისტორიული ფრაზის ავტორი რომან პრიბოვიც იყო მინვეული.

ჩემი ცოდნით, ეს ყველაზე უწმაწური გამოშვება ფილატელიის ისტორიაში. და ყველაზე ძნელად მოსაპოვებელიც. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მცდელობის მიუხედავად, მე ეს მარკები ჯერაც ვერ მოვიხელეთე. კილომეტრიანი რიგი იდგა თურმე მისი გამოსვლის დღეს კიევის მთავარ ფოსტამბთან. რაულ ჩილაჩავა-უმცროსი მესმარება ამ საქმეში, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი გაანყო. თავი დაანებოს, ნუ წვალობს-მეთქი, უფროს რაულ ჩილაჩავას მივწერე. ისე რა ოპტიმისტურია, რომ ასეთ დროს კიეველები იმისთვის იცლიან, რომ საათობით იდგნენ რიგში საფოსტო მარკისთვის!

ამ ყველაფერს რომ ვწერ, დიდი ხუთშაბათია, 2022 წლის 21 აპრილი, და ჯერ კიდევ არავინ იცის, როდის და როგორ დამთავრდება ომი, რომელიც რუსული გენერალიტეტის გათვლით, ელვისებური უნდა ყოფილიყო. პირველ ათეულში ვეღარ, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომს ჯერ კიდევ აქვს შანსი, რომ ყველაზე

1. ხანმოკლე ომების სარეკორდო ნუსხაში მოხვდეს.
 2. ბოლოდან რომ მოვყვეთ, დღეს ყველაზე ხანმოკლე ომებში მოაზრება: 18. ფოლკლენდის ომი ინგლისსა და არგენტინას შორის 1982 წელს (74 დღე); 17. პოლონეთ-ლიტვის ომი 1920 წელს (37 დღე); 16. ბულგარეთის ომი საბერძნეთის, სერბეთის, ჩერნოგორიის, რუმინეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ 1913 წელს ანუ მეორე ბალკანური ომი (32 დღე);
 3. საბერძნეთ-თურქეთის ომი 1897 წელს (30 დღე);
 4. ჩინეთ-ვიეტნამის ომი 1979 წელს (27 დღე);
 5. საქართველო-სომხეთის ომი 1918 წელს (24 დღე);
 6. ისრაელ-არაბეთის ე.წ. „განკითხვის დღის ომი“ 1973 წელს (18 დღე);
 7. სერბეთ-ბულგარეთის ომი 1885 წელს (14 დღე);
 8. ინდოეთ-პაკისტანის მესამე ომი 1971 წელს (13 დღე);
 9. არაბეთ-ისრაელის ექვსდღიანი ომი 1967 წელს (6 დღე);
 10. სალვადორ-ჰონდურასის ე.წ. „საფეხბურთო ომი“ 1969 წელს (6 დღე);
 11. მალე-ბურკინაფასოს ომი აგა-შერის საბადოებისთვის 1974 წელს (6 დღე);
 12. აშშ-პანამის ომი 1985 წელს (5 დღე);
 13. რუსეთ-საქართველოს ომი 2008 წელს (5 დღე);
 14. ეგვიპტე-ლიბიის ომი 1977 წელს (4 დღე);
 15. აშშ-გრენადის ომი 1983 წელს (3 დღე);
 16. ინდოეთ-პორტუგალიის ომი გოასთვის 1961 წელს (36 საათი).
 17. ინგლის-ზანზიბარის ომი 1896 წელს (38 წუთი).
- ეს უკანასკნელი, უფრო სწორად, – პირველი, ალბათ მართლა უნიკალური რამ არის და მისი 38-წუთიანი რეკორდი, თუ ბირთვული ომი არ იქნა, ალბათ ვერასოდეს გაუმჯობესდება.
- ზანზიბარი კუნძული და არქიპელაგია ინდოეთის ოკეანეში, ტანგანიკის სანაპიროსთან და დღეს სწორედ ამ ტანგანიკასთან ერთად იგი ტან-

ზანიაში შედის თავისი სამი ასოთი. აქ სხვა სამი ასო იგულისხმება. არც ის, რომლებზეც რომან პრიბოგმა 2022 წლის 24 თებერვალს კრისიკი „მოსკვა“ გაუშვა და არც ის, რომლებიც სახელმწიფოთა აბრევიატურაზე სახელწოდებებში გვხვდებოდა თუ გვხვდება – აშშ (ამერიკის შეერთებული შტატები), გფრ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), გდრ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), აგს (არაბთა გაერთიანებული საამიროები), ცარ (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა), სარ (სამხრეთ

სასახლე. დედაშვილი რომ არა იყავს, ისეთი კანონიდან ზუსტად ვერ შეესაგებებოდა ბრძოლის რეკორდს პირველი კუნძული ბრძოლაში გასცა. მან გერმანიის საელჩოს შეაფარა თავი. ყველაზე ხანმოკლე ომს 500-მდე ზანზიბარელი ემსხვერპლა, ბრიტანელთაგან კი ერთი ოფიცერი დაიჭრა.

იმავ დღეს ბრიტანეთის ფლოტილის მეთაურმა, ადმირალმა როულინგმა ზანზიბარი გარდაცვლილ სულთნის მეორე ბიძაშვილს, ბრიტანული ორიენტაციის მქონე სეიდ სირ ჰამუდ ბინ მუჰამედ ალ-ბუსაიდს ჩააბარა და გერმანიის საელჩოსთან სამეფო საზღვაო ქვეითთა მორიგეობა დაანესა, რომ ორდღიანი სულთანი მაშინვე დაეპატიმრებინათ, როგორც კი ის გერმანიის საელჩოს დატოვებდა.

მაგრამ ბრიტანელებმა იმჯერად ეს ვერ მოახერხეს. ოქტომბრამდე ბარლამი გერმანიის საელჩოში იმალებოდა, მერე კი ინგლის-ზანზიბარის ომზე არანაკლებ უჩვეულო და სარეკორდო ამბავი მოხდა: 2 ოქტომბერს პორტში გერმანული კრისიკი „ორლანი“ შევიდა. კრისიკიდან მატროსებმა კანჯო ჩამოხსნეს, მხარზე გაიდეს და ასე ციმციმ მიიტანეს გერმანიის საელჩოს კარებთან, მერე ასევე ციმციმ ჩასვეს შიგ ბარლამი და ამგვარად ჩაკანჯოებულ-აკანჯოებული მიიყვანეს „ორლანზე“. რაკი ეს კანჯო გერმანულ გემზე იყო მიწერილი, მასზე ექსტერიტორიულობის კანონი ვრცელდებოდა და ოურიდიულად ისევე იყო დაცული ბრიტანელთაგან, როგორც გერმანიის საელჩოს ტერიტორია.

ბარლამი სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში, გერმანიის კოლონიაში გადაიყვანეს, კარვა ხანს იგი დარეს-სალამში ცხოვრობდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კი, როცა გერმანიის კოლონიების უმეტესობა დიდ ბრიტანეთს ერგო, ინგლისელებმა, როგორც იქნა, ხელთ იგდეს ორდღიანი სულთანი, ძველი ურჩობა გაუხსნეს და ჯერ სეიშელის კუნძულებზე „გააციმბირეს“, მერე კი – სულაც წმინდა ელენეზე უკრეს თავი, ვითომ დიდი ნაპოლეონი ისა ყოფილიყო!

აი, სადამდე მოგვიყვანა რუსეთ-უკრაინის ომის და კრისიკი „მოსკვა“ ამბავმა. ხოლო საფოსტო მარკებით დანყებულნი ეს შთანაწერი ისევე საფოსტო მარკებით უნდა დაეამთავროს:

ჩემს კოლექციაში მაქვს ზანზიბარის 1896 წელს გამოშვებული ორი ორრუპიანი მარკა, რომლებიც არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან გარდა იმისა, რომ პირველზე ზანზიბარის მეხუთე სულთანი სეიდ სირ ჰამად იბნ თუვაინი აღ-ბუსაიდა ჩასამული ოგალურ ჩარჩოში, მეორეზე კი – მეშვიდე სულთანი სეიდ სირ ჰამუდ ბინ მუჰამედ ალ-ბუსაიდი. ხოლო მეექვსე სულთანი – ორდღიანი სეიდ ხალიდ ბინ ბარლამ ალ-ბუსაიდი დარჩა ასე ხახამშრალი, უმარკოდ და უყველადროდ, სამ ასოზე გაშვებული კრისიკი „მოსკვასავით“.


„სომხური“ მწერლობისა

ერთი მომწერლო ჯველი ნაკითხობით იწონება თავს ხალხმრავალ სუფრამზე და, დავითიანი თუ გატყუ ნაკითხული-მეთქი, სხვათა შორის, ვკითხე.

არაო, სომხურ მწერლობას ჯერ ვერც კარგად არ ვიცნობო, – თავმდაბლად მიმასუხა.

მართლაც, ყველაფერი ხომ არ ექნება ნაკითხული? ჯერ ახალგაზრდაა, 40-ოდე წლისა, მოასწრებს.

► ბაბრძულა იქნება.



ნოდარ შანიძე

შევუდგეთ ჩვენს ნარკვევს და მის მთავარ გმირზე ვიამბოთ, მისი ბრწყინვალე წარმოშობის და უმაღლეს ღირსების სრულ შესაბამისობაში.

ათამანიტი. მინიების მბრძანებელი ბეოტიკაში. ორქომენის ან თებეს მეფე. ქარის ღმერთის ძე. ქარმა თავის საშოთი ატარა. თავისი სახელით და ღვთაებრივი წარმოშობით განსაკუთრებულ ალქიმიურ მისიაზე მიგვანიშნებს. ალქიმიკოსები მასზე ჰერმესის ზურმუხტის ფილებში მინიშნებით ლაპარაკობენ. ღრუბელთა ქალღმერთი ნეფელე შეუყვარდა. ნეფელესგან ქალ-ვაჟი ეყოლა. მეორედ ინოზე იქორწინა. ნეფელე გაქრა. ინომ გერები შეიძულა. ნეფელემ შვილები ღრუბლით დაფარა, ოქროსსანმისიან ვერძზე შესვა ისინი და კოლხეთს გაისტუმრა.

ოქროს სანმისი (ბერძნ. ქრიზომალოსი) ნებტუნისა (პოსეიდონის) და ულამაზესი ქალწულის, თეოფანას სიყვარულის ნაყოფიცაა. ეს სიტყვა ზეცის გახსნას, ღვთაებრივ დაბადებას გვაუწყებს. სასწაულის სასწაულებრივად მოვლინებას, რომლის მიზეზითაც ზღვის ღმერთი ვერძად გადაიქცა.

აქედან ჩანს, ჩვენი ვერძი წყლიური და მერკურიანი ბუნებისაა. ის მსოფლიო სულს აცოცხლებს, რომლის ნათელი და ვარსკვლავური ნიშანი მხატვრის ნინაშე მუშაობის დროს გამოჩნდება.

საპაერო მოგზაურობა, ფრიქსეს და მისი დის გაქცევა ოქროს სანმისზე შემომჯდარებისა ელექსირის მოპოვების ოპერატიულ ფაზას განეკუთვნება. ფრიქსეს მიერ ოქროს-სანმისიანი ვერძის ოუპიტერისათვის შეწირვა უზარმაზარი საქმიანობის დასასრულის ალგორითაა.

1) მითი ოქროს სანმისის შესახებ მთლიანად ჰერმეტულ საიდუმლოების შემცველია, რომლის მიზანიც ფილოსოფიური ქვის მიღებაა. აზრი მხოლოდ ჰერმეტულად გამოცნობა. ოქროს სანმისი ფილოსოფიური ქვის სიმბოლური სახელია. ადვტების ენაზე ოქროს სანმისი მზა მატერიაა დიადი საქმიანობისათვის, აგრეთვე მისი საბოლოო რეზულტატია, ამბობს ფულკანელი.

მინა ცეცხლისგან დიდი ოსტატობით განაცალკევე, სათუთი მკვრივად, ამგვარი განცალკევების ხატება ოქროს სანმისია, რომლის მშვენიერი ტყავი არგონავტების გულისთქმა იყო, რისთვისაც XIII-XII საუკუნეთა მიჯნაზე ძველი ნელთალრიცხვით სახიფათო მოგზაურობაში გაემგზავრნენ.

მედეას იასონი შეუყვარდა. მედეამ იასონს ჯადო ნამალი მისცა, რომლითაც თუ ტანს დაიზღუდა, იარაღი და ცეცხლი ვერას არიდებდა. ნამალი იმ ბალახით მზადდებოდა, რომელიც კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის სისხლის წვეთებზე აღმოცენდებოდა.

წინ მხოლოდ მომნიშვნელო ბურუსი ჩანს. (პრომეთეზე მითი არის უდავო მითითება ალქიმიურ საქმიანობაზე. პრომეთე ადამიანური გენიის პერსონიფიკირებაა. ისევე, როგორც მისი შრომისმოყვარეობის ხატი მოთმინების, სწრაფვის, რათა საყოველთაო ცოდნა მიიღოს და საბოლოოდ ამაღლდეს. პრო პრო - წინ და მტის Mtis - სიბრძნე. პრომეთე გოგირდია, რომელიც ცოცხლებს ზეციური ცეცხლით, რადგან ამ ცეცხლის წყარო თავადაა. კავკასიონზე მიჯაჭვულ ამირანს გულ-მკერდს ყორანი უკორტნის. ყორანი იდუმალ გარდასახვათა საიდუმლო ემბლემაა, ის არის დიდი საქმიანობის კანონიერი ბეჭედი, ისევე, როგორც ვარსკვლავი. ამირანმა ვეშაპს მუცელი გაუჭრა და გამოვიდა. „ვეშაპის მუცელი და მუცელი გმირი“ ალქიმიკოსების უსაყვარლესი ხატია. თქმულება ამირანზე აგრეთვე ალქიმიური ნაწარმოებია.


ბადრო, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევითა, გავიდე, გამოვიყვანო ქალია თეთრი, მზე ვითა -

გასვლა და დაბრუნება გამონევეებზე პასუხის გაცემის ფუნდამენტური ინსტრუმენტია.

ჩვენი ლიტერატურა ამ კუთხით არ გააზრებულა! ტექსტი ფანტასტიკურ ალქიმიურ ინფორმაციას შეიცავს).

მედეას ჯადოსნური ნამლის დახმარებით იასონმა თავდასხმელი ორი ხარი დაიმორჩილა. რომელნიც აიეტს ვულკანმა აჩუქა. ხარებს სპილენძის ჩლიქები და რქები ჰქონდათ. პირიდან და ნესტოებიდან ცეცხლის მფრქვეველი. ეს ხარები მან გუთანში შეაბა და მარსის ველი მოხსნა. მოხსულში ურჩხულის კბილები დათესა. ასე ჩვენ შეგვიძლია ორმაგი ქურის (ცეცხლის) მეშვეობით - ჩვეულებრივისა და ფილოსოფიურის - ღრმად გადავხსნათ ჩვენი მინერალური დედამიწა, რათა მასში გოგირდოვანი ჩანასახი დავმალოთ, რომელიც მის ნიაღში გამოიკვებება

ალქიმია და საქართველო



და განვითარდება. მოკლული ურჩხულისგან კბილების ამოღება არის ლითონის დახვეწილი მოპოვება, ჭეშმარიტი და ცეცხლით შეუმუსვრელი სალამანდრისა, ვერფლსა და ნაცარში მცხოვრებისა. არის უდავო მსგავსება საველე მუშაობასა და საველე მუშაობას შორის, ამიტომაც ალქიმია სხირად ზეციურ სოფლის მეურნეობას უწოდებენ. შეიარაღებული მეომრების მსგავსად, რომლებიც ამ მოსავლიდან დაიბადნენ და ერთმანეთი განადგურეს, ჩვენივეს მნიშვნელოვანი დული ნარმოქმნება, რომელიც და რომლის ქიმიური აგენტის მოქმედების ძალა ფილოსოფოსმა წინდახედულად და გინიერულად უნდა გააკონტროლოს. თუმცა, მოდი, გავყვეთ ჩვენს მოგზაურებს, რომელთა თავგადასავლები სხვადასხვა გარემოებით თავიანთი საქმიანობის ეზოთერიულ შინაარსს გვიმხელენ. ისინი შთაგონებულნი არიან მშვენიერი ვერძის ფოლადის სანმისის მოპოვებით, და რაც მათ თავს ხდება, სხვა არაფერია, თუ არა ფილოსოფიური მატერიის გარდაქმნა.

სასწრაფოდ არეისი ქალას მიაშურეს. იასონმა მედეას და იმ ნამლის დახმარებით შეუძლებელი შეძლო. მარადფხიზელი დარაჯი ურჩხული მიაძინა. ალქიმიკოსმა, რომელსაც უნდა ოქროს სანმისის შექმნა, აუცილებლად უნდა მოკლას ურჩხული. ის ლეთარგიულ ძილს მისცემია. მხოლოდ ცეცხლისა და სასიცოცხლო ძალა გამოადვილებს მას და ყველაფერს, რაც ურჩხულის მიერაა პიპნოზირებული. ამიტომ ურჩხულს შუბი ღრმად უნდა აძგერო!

ვინც შეიცნო ურჩხული, მას მისი დამარცხებაც შეუძლია. აქ წმინდა გიორგის ხატი მაგონდება. შავ ურჩხულს თეთრ ცხენზე შემომჯდარი ნითელმოსასხამიანი გიორგი შუბს აძგერებს.

ბრძოლის შემდგომ ჩამოვარდნილ სიჩუმეში იასონი ოქროს სანმისს ეუფლება, ის ორფეროვანია: თეთრი და წითელი, რაც ფილოსოფიური ქვის ორ ბოლო მდგომარეობას

შეესაბამება. რატომ არის ქართული დროშა თეთრი და წითელი? ამ მსხვერპლის ნიშნად ახალგაზრდა მამაკაცი ძვირფას ოქროს სანმისს არეისი ქალაში მდინარე ფაზისთან ახლოს მუხის ტოტზე დაკიდებს (Pasis - მითითება, მხედველობა, გამოცხადება). მუხა უხეში, შავი თავდაპირველი მინერალია. დაჯილდოებულია ლუციფერის უძველესი თვისებებით, პირში ხერხელით, ხოლო მდიდრული ცხვრის ბენევი გარეგანი გამოვლინებაა მშვენიერი შემსრულებლისა, ალქიმიური მუშაობის სასურველ ნაყოფისა. ხე და დემონი ერთი და იგივე არსებობს და მათი განცალკევება მეორადი მოვლენაა.

ხიდან ოქროს სანმისი ჩამოსხნა და ხომალდ არგოს მიაშურეს.

თავისი ძის მეთაურობით აიეტმა არგოს უამრავი ხომალდი დაადგენა. მედეამ აფსირტე დალუბა.

როცა კლავენ, ის ცოცხლდება და როცა აცოცხლებენ, ის კვდება.

ქალიშვილმა ძმა დაანაკუნა. სხეულის ასეთი განადგურება დიადი საქმიანობის-

და ღმერთმა არ დაესაჯოს, რადგან ყველა და ყველაფერი არ არის ერთმანეთის მსგავსი. თაღმუდის მიმდევრები შენიშნავენ: ათას მეგობარში ერთს ტუ გაუტყელ-საიდუმლოსო.

მივაქციოთ ყურადღება ფონეტიკურ კაბალას: მედეი Meდეov - ის, ვინც პასუხისმგებელია, მთავარი, ოსტატი. მედეა = 37. აქ კვლავ მერკურის რიცხვი. მედეას დაუხმარებლად იასონი ვერასოდეს მიაღწევდა თავის საწადალს, ისევე, როგორც თევზის ვერასდროს გამოვიდოდა კრეტას ლაბირინთიდან არიანდეს დაუხმარებლად. მედეას წყალობით იასონმა მიიღო ცოდნა, მისგანვე მოიპოვა სასწაულმოქმედი ცეცხლოვანი წყალი, რომელზეც ტამპლიერებისა და ბაფომეტის რიტუალებია დაფუძნებული, ანუ სიბრძნის ნათლობა. ფილოსოფოსმა სიბრძნის საფუძვლები არ უნდა გაამჟღავნოს, რათა საიდუმლოებანი არ გაუფასურდეს და ღმერთმა არ დაწყველოს იგი.

რა არის ფილოსოფიური ქვა, რომელსაც თურმე ნიუტონიც ეძებდა.

უხეში, ველური ქვა გჭირდება, ის შავია, ჭეჭყიანი ნაწიბურებით, მყრალი. სწორედ ამ არცთუ მიმზიდველი თვისებებით შესაძლებელია მისი ამოცნობა. სვრის ხელებს და თითქოს ყველაფერ ამაზრზენს აერთიანებს. მის საველალო გარეგნობას არ უნდა მიაქციო ყურადღება. იგი ჰგავს პრიმიტიულ, პირვანდელ სუბსტანციას, სამყაროს შექმნის ქაოსიდან რომ გვიყურებს. თითქოს ქაოსის მიერ არის შობილი, რომელიც ღმერთმა სამყაროს შექმნისა და მონესრიგებისას თავის რჩეულ მსახურთათვის შემოგვინახა. არყოფნიდან ამოღებულს ღმერთის ბეჭედი აზის. ღმერთებიც ხომ მატერიიდან იბადებიან, ანუ ქაოსიდან.

ამბობს ლე ბრეტონი: არის მინერალი, რომელსაც ჭეშმარიტი ბრძენნი იცნობენ და მათ ნაწერებში სხვადასხვა სახელწოდებით არის დამალული.

ლამიანი, ნუმბედან ამოღებული, ნებოიან სპერმას ჰგავს ან მომწვანო ნებოს, რომლის ქვეშ ბაყაყები კვრცხებს დებენ და ზედ ჯდებიან. ქვაც არის და ქვაც არ არის. მას ქვის მსგავსი ჰქვია. ეს რაიმე არ შეიძლება არც სრულყოფილად ჩაითვალოს და არც არასრულყოფილად. ის სრულქმნილების გზაზეა. ურჯულთა, ნაძირალა - ასეც უწოდებენ ქვას, როცა ის უხეში ფორმითაა. მინარევეებისაგან ცეცხლით უნდა განინმინდოს. ხანგრძლივი ხარშვის შედეგად მას უბრუნდება თავისი უნივერსალური თვისება. ასე ქვა უმნიშვნელო, უნაკლო გახდება.

დედამიწის ღრუებიდანაა ამოღებული, მასში ყველა სახის თესლია, რაც დედამიწაზე არსებულია, იგი გამოქვაბულებს პირმშოა, მინის წყლულებსა. მას სახიფათო მინის-ქვეშა მღვიმეების მკვიდრსაც ეძახიან, მინა ქუძუს ანოვებს, ის კი ზეციური და ვარსკვლავურია, ყველა თავის თვისებასა და სათნოებას მინიდან იღებს. როგორც ამის შესახებ ვასილი ვალენტინი ამბობს.

მაგრამ ეს საძულველი, ბრძენთათვის პირველსუბიექტი, პირველი ალკაგესტი, უმეცართათვის ყველაზე უხეში საგანი, ერთობ საძაგელი სხეული ბრძენთათვის ყველაზე კეთილშობილი აღმოჩნდება. ამიტომაც არ არის ყველასათვის ხელმისაწვდომი.

დე, გონიერი ხალხი სწორედ ამ დამცრობელ მატერიას ეძებდეს, რადგან ის შეიცავს ყველაზე სრულქმნილ ელემენტებს.

მისი მეშვეობით ბუნების დახვეწილ საიდუმლოებებში შეაღწევი.


ამიტომ უწოდებდნენ მას ფილოსოფოსები მიტოვებულს, ან სულაც მოკლულ სიტყვას. უღირსთათვის ის დამალულია.

მანანწალაში ქრისტეს ცნობა ძნელია, და ადვილია მისი გამოლანძღვა სიყრუვისა და უმეცრების მიზეზით. ასეთ სულიერებათა მატარებლების ჩვენ გვერდით ამოცნობა ძნელია და მათი შეურაცხყოფა კი ადვილია.

რაიმეების შეცნობაში მანანწალა გვეხმარება, - ამბობს რაიმონდ ლული. ყველაზე მთავარს სწორედ მათგან შეიტყობთ. მენამულისა და აბრეშუმის მიღმა ხშირად უგუნურება იმალება და პირიქით. მე არაერთხელ დავრწმუნდი, სიბრძნე ჭეჭყიანი ტანსაცმელითაა შემოსილი.

მის პირველ მომზადებამდე ერთია საქმე: მოაპორო ზედმეტი, დაუტოვო მხოლოდ მზისა და მთვარის შეფერილობა, რომელსაც ის სამუშაოს ბოლოს შეიძენს.

მის პირველ მომზადებამდე ერთია საქმე: მოაპორო ზედმეტი, დაუტოვო მხოლოდ მზისა და მთვარის შეფერილობა, რომელსაც ის სამუშაოს ბოლოს შეიძენს. ►► დასასრული. გვ. 12



▶▶ გაგრძელება. დასასრული „ლს“ №6

ნიკოლაი ბარლიავენი

თავი IV

XIX საუკუნის რუსული ლიტერატურა და მისი წინასწარმეტყველებანი

XIX და XX საუკუნეების რუსეთი რადიკალურად განსხვავდება მოსკოვის რუსეთისგან. მოსკოვის რუსეთს კულტურის თავისი სტილი ჰქონდა, გარკვეულ ფორმებში იყო ჩასმული. სული არ იყო გამოვლინებული აზრისთვის, კრიტიკისთვის, არ იცნობდა გაორებას. დასავლეთთან შეხებით რუსული სული ნამდვილი გადატრიალება მოხდა, თან დასავლური ცივილიზაციისგან სრულიად სხვა მიმართულებით. დასავლეთის გავლენა რუსეთზე პარადოქსული იყო, დასავლეთს არ შეუტანია რუსეთის სული ნორმები. პირიქით, მისმა გავლენამ რუსულ სულში გამოაღვიძა დიონისური, დინამიური სანყისები, ზოგჯერ დემონიურიც კი. სული გათავისუფლდა და იმგვარი დინამიზმი გამოავლინა, რომელიც უცხო იყო პეტრემდელი რუსეთისთვის. ახალი ისტორიის ფაუსტური ადამიანის სწრაფვათა უსასრულობა ძალიან თავისებურად გამოვლინდა რუსეთში, რაც გენიალურად აისახა დოსტოევსკის შემოქმედებაში. ერთმანეთს შეეჯახნენ წარსულის ყოფითი რუსეთი, ვაჭრული, აზნაურული, მეშენაური, რომლის მხარესაც იყო იმპერია, და ინტელიგენტიური, სულიერად და სოციალურად რევოლუციური, უსასრულობისკენ მიმსწრაფი, მომავლის მაძიებელი რუსეთი. ამ შეჯახებას მოჰყვა დინამიური ძალების აფეთქება. მაშინ, როდესაც დასავლეთში განმანათლებლობა და კულტურა ქმნიდნენ გარკვეულ ნორმებს და ნესრიგს – თუმც, რა თქმა უნდა, შედარებით ნესრიგს – რუსეთში განმანათლებლობა და კულტურა უარყოფდნენ ნორმებს, ანგრევდნენ ჯებირებს, ქმნიდნენ რევოლუციურ დინამიკას, რამაც ასახვა პოვა რუსული კულტურისა და, კერძოდ, რუსი მწერლების შემოქმედებაში.

შინაგანი რევოლუცია ყველაზე მეტად აისახა დოსტოევსკის შემოქმედებაში. სხვაგვარად – ტოლსტოისთან, რომლის შემოქმედებაც არ იყო პროფეტული, მაგრამ ტოლსტოი თავად იყო რევოლუცია საინტერესოა ამ ორი გენიოსის შედარება. თანაფარდობა მხატვრულ სტიქიასა და ცნობიერებას შორის მათთან საპირისპიროა. დოსტოევსკი დინამიური შემოქმედია, ალბათ, ყველაზე დინამიურ მსოფლიოში. მასთან თითქოს ყველაფერი გამდნარ ცეცხლოვან სტიქიაშია მოქცეული და ქარიშხლოვან მოძრაობაშია, არაფერია დადგენილი, საბოლოოდ გაფორმებული. დოსტოევსკი დიონისური მხატვარია და სულის რევოლუციას, მის დიალექტიკას გამოხატავს. მასში ძლიერია პროფეტული ელემენტი, მომავლისკენ მიმართება, რომელშიც მრავალ მოვლენას განჭვრეტს – მაგალითად, რუსულ რევოლუციას და მის იდეებს, ხოლო ის იდეები, რომლებიც „მწერლის დღიურში“ გვხვდება, კონსერვატივობა ნარმოაჩენს ავტორს, თუმც ეს განსაკუთრებული, რევოლუციურობაში არეული კონსერვატივობა.

ტოლსტოი მყარი და გაფორმებული ყოფის მხატვარია. თუ დოსტოევსკის რომანები ტრაგედიებია, ტოლსტოისა – ეპოსი. მას არ ახასიათებს პროფეტობა, მომავლისკენ არ არის მიმართული. დოსტოევსკის დინამიზმი და პროფეტობა იმით აისხნება, რომ იგი მთლიანად ადამიანის პრობლემა

არის შეპყრობილი, ანთროპოლოგია. ტოლსტოის შემოქმედებაში – მსოფლიოს ყველაზე სრულყოფილ რომანებში – ადამიანი კოსმიურ ცხოვრებაში, მის წრებრუნებაშია მოქცეული. დოსტოევსკი ისტორიაშია, ტოლსტოი კი კოსმოსში, დინამიზმი და პროფეტობა კი დამახასიათებელია ისტორიისთვის და არა კოსმიური ცხოვრებისთვის, ხოლო ცნობიერებით სწორედ ტოლსტოი იყო რევოლუციონერი, უსამართლობის მამხილებელი, ანარქისტი და ნიჰილისტი. არნახული რადიკალიზმით უპირისპირდებოდა ისტორიას და ცივილიზაციას. ადამიანი არ უნდა ემორჩილებოდეს ამ ქვეყნის კანონებს, მხოლოდ ღვთის კანონს უნდა ცნობდეს. ტოლსტოი უარყოფს კომუნიზმს, არ ეგუება

რუსული კომუნიზმის წყაროები და საზრისი

ძალადობას, სახელმწიფოებრიობის მტერია, უარყოფს ტექნიკას და ცხოვრების რაციონალურ ორგანიზებას, სწამს ბუნების და სიცოცხლის ღვთაებრივი საფუძვლების, სიყვარულს ქადაგებს და არა სიძულვილს, მაგრამ, როგორც უარყოფელი, კომუნიზმის წინამორბედი. უარყოფს წარსულს, ისტორიულ ტრადიციებს, ძველ კულტურას, ეკლესიას და სახელმწიფოს, უარყოფს ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას, თავს ესხმის პრივილეგიებულ, გაბატონებულ კლასებს, არ უყვარს კულტურული ელიტა. 70-იანი წლების ხალხსნებში არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ „მომხანებელი“ აზნაურები, მაგრამ ტოლსტოის გენიალურ ცხოვრებასა და შემოქმედებაში გაბატონებულ კლასთა მონანიება უკიდურესი ფორმით არის გამოხატული. მისი შემოქმედება გამსჭვალულია იმ აზრით, რომ ცივილიზებულ საზოგადოებაში ცხოვრება სიყალბეა და უსამართლობაზე დამყარებული. იგი რადიკალურად ემიჯნება საზოგადოებას და ამ თვალსაზრისით რევოლუციონერია, თუმც უარყოფს მის ძალადობრივ ბუნებას.

დოსტოევსკიც, მიუხედავად მრავალი მისი კონსერვატიული იდეისა, რევოლუციონერი იყო. ამხელდა რევოლუციურ ინტელიგენციას, რადგან განჭვრეტდა მათი მხრიდან სულის თავისუფლების უარყოფას, უღმერთობაზე დამყარებული დიალექტიკის უკიდურეს შედეგს. დოსტოევსკის შეხედულებით, უღმერთობას უცილობლად მიყვარათ სულის თავისუფლების უარყოფამდე. ეს თემა წარმოადგენს ილია ივან კარამაზოვის „დიდი ინკვიზიტორის“ ლეგენდის დიალექტიკაში. მასში არის რევოლუციური ინტელიგენციის მხილების მთელი ორიგინალობა. მხილებით ხდება თავისუფლების დაცვა, რაც სრულიად რევოლუციური იდეაა დოსტოევსკისთან. ამ იდეით ავტორი ამბობს დიდ ინკვიზიტორს ნებისმიერ ეკლესიასა თუ სახელმწიფოში, „აჰ სულელები“ კი დოსტოევსკი გვევლინება რუსული რევოლუციის წინასწარმეტყველად, მრავალ მოვლენას განჭვრეტს, მაგრამ სწორად უსამართლოც არის. დოსტოევსკი სულის რევოლუციონერია, ღმერთთან და ქრისტესთან ერთად რევოლუციაც სურს. ათეისტური სოციალიზმის, როგორც დიდი ინკვიზიტორის ცდუნების, მტერია, პურზე და ბედნიერებაზე სულის გაყიდვის მტერი. ამასთან, არც ბურჟუაზიული წყობის დამცვე-


ლია. დოსტოევსკი სოციალისტია მართლმადიდებლობის ნიადაგზე, ქრისტიანი სოციალისტი. აგებს თეოკრატიულ უტოპიას, რაშიც იგულისხმება ძველი სახელმწიფოს და ბურჟუაზიული მეურნეობის უარყოფა, ამაში ძალიან რუსია. ცხოვრების ბოლო წლებში გაბოროტდა და იმ რეაქციულ ელემენტებს დაუკავშირდა, რომლებსაც მისი გაგების უნარი არ გააჩნდათ. ტოლსტოიც და დოსტოევსკიც უსამართლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ანტიკანონიერ სულს გამოხატავენ, ორივე ბურჟუაზიული სამყაროს და მისი ნორმების მტერია. ისინი სხვადასხვა გზით ეძებენ ჭეშმარიტ ქრისტიანობას და იცავენ მას დამახინჯებული ისტორიული ქრისტიანობისგან. მათი გაჩენა იმ

საზოგადოებაში იყო შესაძლებელი, რომელიც რევოლუციისკენ მიდიოდა და რომელშიც დაგროვილი იყო ფეთქებადი მასალა. დოსტოევსკი სულიერ კომუნიზმს ქადაგებდა, თითოეულის პასუხისმგებლობას ყველას წინაშე. ასე ესმოდა „სობორულობის“ რუსული იდეა. მისი რუსი ქრისტე ვერ მოერგებოდა ბურჟუაზიული ცივილიზაციის ნორმებს, ტოლსტოი კი არ სცნობდა ქრისტეს, მან მხოლოდ მისი სწავლება მიიღო და ქრისტიანული კომუნიზმის სათნოებას ქადაგებდა, უარყოფდა საკუთრებას, ეკონომიკურ უთანასწორობას. დოსტოევსკი და ტოლსტოის აზრები, როგორც ყოველი რევოლუციური აზროვნება, ესკატოლოგიის ზღვარზეა. ორივე ქადაგებს ზოგადსაკაცობრიო ერთობას, რაც რუსული იდეაა. ინტერნაციონალიზმი ქრისტიანული უნივერსალიზმის, რუსული ზოგადსაკაცობრიო იდეის დამახინჯებული ვარიანტია.

დოსტოევსკის თანახმად, რუსი ხალხი ღვთისმატარებელია, რადგან ზოგადსაკაცობრიო ძმობის იდეა აქვს. მისი დასავლეთისადმი დამოკიდებულება წინააღმდეგობრივი იყო, სძულდა და უყვარდა კიდევ. წინააღმდეგობა იყო ასევე ზოგადსაკაცობრიო იდეას, რომლის მატარებლადაც რუს ხალხს მიიჩნევდა, და მკაფიოდ ნაციონალურ ანტიპათიებს შორის. მისი რწმენით, სინათლე მოვიდოდა აღმოსავლეთიდან, ამასთან, მას არ ახასიათებდა პარტიკულარიზმი და ნაციონალიზმი, რომლებიც ყოველთვის უცხო იყო რუსული აზროვნებისთვის. ნაციონალიზმი გერმანულის მიზანძევა რუსულ ნიადაგზე. ტოლსტოი და დოსტოევსკი სულის უნივერსალური რევოლუციის მქადაგებლები იყვნენ. მათ გააოგნებდათ სულის უარყოფელი კომუნიზტიური რევოლუცია, თუმც ორივე მისი წინამორბედი იყო.

რუსული ლიტერატურის წინასწარმეტყველური ბუნების ანალიზისათვის ძალიან საინტერესოა ნიშანდობლივია კონსტანტინ ლეონტიევის ფიგურა. იგი მხატვარი, პუბლიცისტი და სოციოლოგი იყო. სრულიად ინდივიდუალური მოაზროვნე, რომელიც არც ერთ სკოლას და მიმდინარეობას არ მიეკუთვნებოდა. გავრცელებული შეხედულების თანახმად, რეაქციონერია, მაგრამ მისი რეაქციონერობა რომანტიკულია. ლიბერალურ-ეგალიტარული პროცესის შეჩერება სურდა, რომელსაც მეშინაობის გაბატონებამდე, რთული, მრავალფეროვანი კულტურის დასასრულამდე მიყვარათ. ლეონტიევისთვის სოციალიზმიც ბურჟუაზიულობის ნიადაგზე, ქრისტიანი სოციალისტი. აგებს თეოკრატიულ უტოპიას, რაშიც იგულისხმება ძველი სახელმწიფოს და ბურჟუაზიული მეურნეობის უარყოფა, ამაში ძალიან რუსია. ცხოვრების ბოლო წლებში გაბოროტდა და იმ რეაქციულ ელემენტებს დაუკავშირდა, რომლებსაც მისი გაგების უნარი არ გააჩნდათ. ტოლსტოიც და დოსტოევსკიც უსამართლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ, ანტიკანონიერ სულს გამოხატავენ, ორივე ბურჟუაზიული სამყაროს და მისი ნორმების მტერია. ისინი სხვადასხვა გზით ეძებენ ჭეშმარიტ ქრისტიანობას და იცავენ მას დამახინჯებული ისტორიული ქრისტიანობისგან. მათი გაჩენა იმ

დე მიყვარათ. ლეონტიევისთვის სოციალიზმიც ბურჟუაზიულობის სამყარო იყო, რუხი ფერის მინიერი სამოთხე, რომელშიც ყველაფერი ნივლიერებულია, მოკლებულია ინდივიდუალობას. რევოლუციონერი გერცენის მსგავსად, რეაქციონერი ლეონტიევი მწვავედ სვამს რუსული კულტურისთვის დამახასიათებელ მეშინაობის პრობლემას. ბურჟუაზიული სულიადმი სიძულვილი განმსაზღვრელია აფექტია მის ცხოვრებაში. ვერ ეგუებოდა იმ აზრს, რომ „მოციქულები ქადაგებდნენ, მონამენი იტანჯებოდნენ, პოეტები მღეროდნენ, ფერმწერი ქმნიდ-



ნენ თავიანთ ტილოებს და რაინდები ბრწყინავდნენ ტურნირებზე მხოლოდ იმისთვის, რომ კომიკურ და უგვანო სამოსში გამოწყობილ ფრანგებთან დასწრად ან რუს ბურჟუას „ინდივიდუალურად“ და „კოლექტიურად“ ნეტარებაში ეცხოვრა, ამ დიდებული წარსულის ნანგრევებზე. XVI საუკუნის იტალიური რენესანსის ადამიანი ბერად აღიკვეცა და ოპტიმის უდაბნოში „სტარეც“ ამბროსის მორჩილებაში ცხოვრობდა. ლეონტიევისთვის ესთეტიკური შეფასება იყო მთავარი და იგი ცხოვრების ბოლომდე გაორებული დარჩა: მიღმიერთან მიმართებაში ბერი, ხოლო მინიერი ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაში ესთეტი. არც სურდა ქრისტიანული სწავლების ცხოვრებაში განხორციელება, სოციალური სიმართლის მიღწევა, რადგან ამ მცდელობაში სილამაზის დაღუპვას ხედავდა. ლეონტიევის ქრისტიანობა პესიმისტური და იმქვეყნიურია. იგი მრავალი ნიშნით ნიციმს წინამორბედი. ძლევა მოსილების ნება, არისტოკრატიზმი, სიცოცხლის ტრაგიკული განცდა, მკვეთრი ესთეტიზმი, ამორალიზმი, ყურადღების გამახვილება კულტურის ყვევლიობაზე და მის დეკადანსზე – ყოველივე ეს ნიციმსთან აახლოებდა. განსაკუთრებით საინტერესოა მისი წინასწარმეტყველება რუსულ რევოლუციაზე. ერთი პერიოდი სჯეროდა, რომ რუსეთში შესაძლებელი იყო ორიგინალური, არაბურჟუაზიული კულტურის აყვავება, მაგრამ მოგვიანებით განიხილა როგორც რუს ხალხი, ასევე რუსეთის მისიაში. იმდენად განიხილა, რომ ხალხის ერთადერთ მისიად ანტიქრისტეს დაბადება წარმოიდგინა. ჯერ კიდევ 80-იანი წლებში გრძობდა, რომ ქვეყანა ფატალურად მიექანებოდა რევოლუციისკენ და წინასწარმეტყველებდა, თუ როგორი იქნება იგი მის შემდეგ. დოსტოევსკიზე უფრო დეტალურად წარმოედგინა კომუნიზტიური რევოლუცია, იცოდა, რომ იგი იქნებოდა ტირანიული და სისხლიანი, არა ლიბერალური, არამედ კომუნიზტიური, რომ მასში არ მოხდებოდა თავისუფლებებისა და უფლებების დეკლარირება, რომ დაემხოდა ლიბერალ-რადიკალური ინტელიგენცია. რევოლუცია სულაც არ იქნება ჰუმანური და იგი დაეფუძნება ძალაუფლებისა და მორჩილების არქაულ ინსტიტუტებს. რუსული კომუნიზმით გატაცებული აღმოჩნდებიან აღმოსავლეთის ხალხები და დაიძრებიან

დასავლეთის ბურჟუაზიული წყაროს გასაწვდილობად. თომც მისი განადგურებას უნდა ემსახურებოდა ლეონტიევის, მაგრამ მასში კეთილშობილი არისტოკრატიული კულტურის ნაშთების გადარჩენას ლამობდა, რის გამოც ელაუტებოდა უკანასკნელ შესაძლებლობას – რუსეთის მეფეს კომუნიზმის ზემოდან შემოღებას სთავაზობდა. რუსული ტრადიციის შესაბამისად, ლეონტიევი ვერ იტანდა კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას. მისი წინათგრძნობა და წინასწარმეტყველებანი სამყაროს დასასრულის განცდასთან არის შეზავებული.

XIX საუკუნის რუსეთში ძლიერდება პესიმისტური შეფერილობის აპოკალიფსური განწყობები. სამყაროს დასასრულის, ანტიქრისტეს გამეფების იდეის უკან შესაძლოა, დაინახოთ ძველი სამყაროს რღვევის, ისტორიული ეპოქის დასასრულის განცდა. ეს განცდა ორგვაროვანია, სვედიანიც და სასიხარულოც. განსაკუთრებული მგრძობილობის მქონე მწერლებს არ სურდათ იმ აზრთან შეგუება, რომ რუსეთი ბანალური დასავლური გზით წავიდოდა, ბურჟუაზიული, რაციონალისტურით, ლიბერალურით და ჰუმანიზტურით. აპოკალიფსური განწყობები ორიგინალურად გამოხატება ყველაზე გამორჩენილი რუსი ფილოსოფოსის ვ. სოლოვიოვის შემოქმედებაში. მისი, ისევე როგორც მთლიანად რუსული ფილოსოფია, ქრისტიანული იყო. თავდაპირველად ვ.სოლოვიოვი აგებს თეოკრატიულ უტოპიას, ქადაგებს თავისუფალ თეოკრატას და სჯერა ქრისტიანული პოლიტიკის შესაძლებლობისა. ლეონტიევის საპირისპიროდ, მას ქრისტიანული სიმართლის ცხოვრებაში განხორციელება სურდა. ვ.სოლოვიოვი არის რუსული ზოგადსაკაცობრიო იდეის მატარებელი და ნაციონალური პარტიკულარიზმის მტერი. ქრისტიანული უნივერსალისტი, რომელსაც სურდა ეკლესიების გაერთიანება, გარკვეული პერიოდი კათოლიციზმისკენაც იხრებოდა. მოღვაწეობის დასაწყისში ოპტიმისტურად განმარტავდა ქრისტიანობას, პროგრესთან და ჰუმანიზმთან სურდა მისი დაკავშირება, სჯეროდა ღმერთკაცობის შესაძლებლობის, მაგრამ მრავალჯერ განიხილული იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ ისტორია მიდის არა იმ გზით, რომლის ბოლოშიც ვ.სოლოვიოვი ქრისტიანული ჭეშმარიტების გამარჯვებას ხედავდა. მას უწინდება ბოროტების მწვავე განცდა, ცხოვრების დასასრულს კი საბოლოოდ განიხილება სამყაროში თავისუფალი თეოკრატის შესაძლებლობაში, აღარ სჯერა ისტორიის სავალი გზების, მიიჩნევს, რომ ისტორია მთავრდება, რომ მას არ გააჩნია მომავალი და ყველაფერი ამოწურულია. დაწერა „მოთხრობა ანტიქრისტეზე“, რომელშიც წინასწარმეტყველებს ანტიქრისტეს გამოცხადებას. მისი აზრით, კაცობრიობის სოციალური ორგანიზება იქნება არა ქრისტიანობის, არა ქრისტიანული თეოკრატის, არამედ ანტიქრისტეს საქმე. პანმონგოლიზმში ხედავს საფრთხეს, რომელსაც ყვითელი რასა უქმნის რუსეთს და ევროპას. როგორც ლეონტიევის, მასაც აპოკალიფსური განწყობა ეუფლება, მაგრამ დასასრული ნიშნავს არა სამყაროს, არამედ ისტორიული ეპოქის დასასრულს, ისტორიული კატასტროფების წინათგრძნობას. ეს არის აპოკალიფსი ისტორიის შიგნით. ყველა მოაზროვნე გრძნობს, რომ რუსეთი უფსკრულის პირას დგას.

რუსულიდან თარგმნა
გია სიამაშვილა
▶▶ დასასრული იქნება

ფილოსოფიური ქვის მფლობელები არ ბერდებიან და არც უძღვრებიან, სანამ ზეციური მბრძანებლის მიერ დადგენილი საათი არ დაუდგებათ. არ არსებობს განსხვავება მარადიულ დაბადებას, რეინკარნაციასა და ფილოსოფიური ქვის შექმნას შორის. მითიური ნივთი თავის მფლობელს უკვდავებას აჩუქებს. მარადიულ ახალგაზრდობას, 19 წლისას გაგზავნის. ამ ქვის მფლობელი ფილოსოფოსები, როგორც სარკემი, მომავალს ხედავენ. უმეტესობისათვის უზილავე სტიქიურ სულსაც. შეგიძლიათ მათი ყველა მოქმედება და ურთიერთობანი დაინახოთ. ქვა ყველა სწულსაც კურნავს, მათ შორის, იმ დაავადებებსაც, რომელთაც ექიმები განუკურნებლად მიიჩნევენ. ქვა ადამიანს უკეთესობისკენ ცვლის, ყველა ცოდვას სპობს მასში.

მას იაფი ფოლადების ძვირფას ფოლადებად გადაქცევა - ტრანსმუტაცია შეუძლია. გარშემო ყველაფერს წმენდს და ასუფთავებს.

მზე არის ღმერთის ზედამხედველობა ცაში, ფილოსოფოსების ქვა კი ღმერთის ზედამხედველობა მიწაზე. თუ ეს იცი, შენ შეძლებ აღმართვას კიბისა ღმერთის შემეცნებისკენ. აბსოლუტსაც ეძახიან. ანუ ძვირფასი კარბუნკული, ჩვენი მიკროკოსმოსის მანათობელი.

ფილოსოფიურ ქვას საკრალურ ენაზე ჰქვია „ქვა მზის ნიშნით“. მზის ამ ნიშანს ახასიათებს განსაკუთრებული სიკაშკაშის ნითელი ფერი.

ის თეთრთან შერეული ნითელი უნდა იყოს. ამ ფერით იცნობ. თეთრი ან ნითელი ტინქტურა ხანდროს ფილოსოფიური ქვა-რომელიც, როგორც ჰერმეტიკი, ორთავე სუბსტანციას შეიცავს. თოვლივით თეთრი განმწმენდილ მერკურს სიმბოლიზირებს ალბედოს მდგომარეობაში. ეს ბროლისებრი ქვა თეთრია, როგორც თოვლი. ყოველგვარი წვირესაგან განმწმენდილია. სითეთრე ანდა სინმინდე. ალქიმიკოსები თავიანთ მერკურს კაშკაშა სითეთრედ წარმოგვიდგენენ. თეთრი - თეთრი მუღღი, ალისფერ ქმართან უნდა შეუღლდეს, ნითელი და თეთრი, მეფე და დედოფალი, მთვარე და მზე.

ერთმანეთს ესუტებიან, კავშირდებიან და ერთ ხორცად იქცევიან.

რადგან ოქრო და ვერცხლი თეთრი და ნითელი მიწაა, ამ ფერებით არსნი ცოცხლდებიან, მათ გარეშე ფოლადების ფასი არაფერია. ეს გადასვლა ვერცხლიდან ოქროზე. საბოლოო დღესასწაული ალქიმიკოსისა ყოველთვის ნითელია.

რატომ არის ქართული დროშა ზუთფერადი? ამას მრავალი ახსნა აქვს: ქრისტეს ჭრილობები, საქართველოს კუთხეები და სხვა, მაგრამ, მოდი ალქიმიკოსის თვალთ შევხედოთ.

ჰერა 5-ჯერ ეხმარება იასონს.

არის ალქიმიკოსი გამოსახულება: 5 ქალწული ჭეშმარიტ ჰერმეტულ ფილოსოფოსებსა და ბუნების მეგობრებს გამოსახტავს. მათ იციან, თუ რა არის ნამდვილი მატერია, რასაც ისინი ემსახურებიან, მუშაობენ რა სამი სამეფოს მაგენზიასთან. ხელში თასები უჭირავენ და იმ თასებში ზეციდან რაღაც იღვრება. იმ რაიმეს, რაც მათ ჯამებში გროვდება, ისინი ატანაორში ხარშავენ და არაბულ ელექსირად გარდაქმნიან. მათი ჭურჭლის ფერი რიგითობის მიხედვით სხვადასხვაა. მეზუთე თასის ფერი ნითელია. ქვას: ერთი, ორი, სამი, ოთხი და ხუთი იღებენ. 5 მისი საკუთარი სუბსტანციის კვინტესენციაა.

უნდა შევნიშნოთ, რომ გადახარშვის დროს ჩვენი ქვა მორიგეობით სხვადასხვა ფერს იღებს. ოსტატები ხშირად მხოლოდ ხუთ ძირითად ფერს აღნიშნავენ, მეტ-ნაკლებად გარკვეულს და სტაბილურს. კერძოდ, შავს, რუხს, მწვანეს, თეთრსა და ნითელს. ამათზე უნდა იზრუნოთ და დანარჩენზე არც იფიქროთ. შავი პირველი გასაღებია, პირველი ძირითადი ფერი შავია. რომელიც არაუგვიანეს მეორე დღეს ჩნდება. შავი ლპობასა და

მატერიის სრულ დაშლას ნიშნავს. მატერია ბინდისფერია. მასთან მუნწყოფი შავია. ფილოსოფოსები მას შავზე უმავეს უწოდებენ. შავ სატურნს, თავიანთ ყორანს. ასეთ დროს ამბობენ, რომ ყორანს თავი მახვილით ანუ ცეცხლის დახმარებით უნდა მოჰკვეთონ, ვიდრე ის არ გათეთრდება. შავი მომავალი წარმატების კარგი ნიშანია, ამბობენ ჰერმეტიკოსი ფილოსოფოსები, აშკარა ნიშანი იმისა, რომ კომპოსტი ყველა წესის მიხედვით მომზადდა. ის თეთრს და ნითელს ყოველთვის უნდა უწინარესობდეს. ძველ დროებში შავი ფერი პირველყოფილი წყლებისა და ქაოსის ფერი იყო. ყველის თავი ალქიმიკოსი სრული განადგურების ნიშანია, შემდეგ მას მხატვარი გახდის ჯერ თეთრად და მერე ალისფრად ჰაერის ცეცხლოვანი სულის მეშვეობით. შავი სატურნის სამეფოა.

შავს მალევე მოსდევს რუხი ანუ იუპიტერის სამეფო.

ამის შემდგომია მწვანე, რომელიც მატერიის ზრდასა და გაცოცხლებას ნიშნავს. რუხი და მწვანე გარდამავალი (წარმავალი) ფერებია.

თოვლივით თეთრი მეოთხეა, რაც გვიან სტადიაზე მატერიის გამკვრივებას. სინათლე სიბნელეს მოსდევს, დილა - საღამოს, სინათლის ფერი თეთრია. ამ ეტაპზე ბრძენნი ამბობენ, რომ მათი მატერია ყოველგვარი მინარევებისაგან თავისუფალია, კარგად ირეცხება და ინმინდება.

ნითელი მეხუთეა. ამიტომ ამბობენ, ჩვენი ქვა ნითელი თავითაა, თეთრი ფეხებითა და შავი - თვალებით (ალქიმიკოსები თავიანთ თავებს ნითელი თავის შვილებს უწოდებდნენ). როცა მეხუთე არის მდგომარეობას მიღწევს, მაშინ ის ახალ ბუნებას იძენს, ბოლოს ყველაფერი ნითდება. ნითელი საბოლოო ფერია. ეს ფილოსოფოსების ოქროს ყვავილია. მათი მეფური გვირგვინი მენაშული ქვის სრულყოფილებაზე მიგვანიშნებს. როგორც ამის შესახებ ფულკანელი ამბობს, ნითელი უმაღლესი ხარისხის სრულყოფილებაა.

ნითელი ტრფობასა და ალტაცებას ნიშნავს, სულის მატერიაზე გამარჯვებას, ძალაუფლებასა და სამოციქულო მსახურებას.

ამ მიზეზით უნდა გვებრძა ავი სული, შავი, მაგრამ იდუმალად თეთრი და ალისფერი. თეთრი ლილია სულნიშნისა შთაგონებას სიმბოლიზირებს. ნითელი ლილია მამაკაცურ საწყისს ნიშნავს. ის თეთრთან შერეული ნითელი უნდა იყოს. პირველი და მეორე აგენტი. ამ ფერით იცნობ. თეთრი ან ნითელი ტინქტურა ხანდროს ფილოსოფიური ქვა, რომელიც, როგორც ჰერმეტიკი, ორთავე სუბსტანციას შეიცავს. პროცესში სხეული თეთრდება, ხოლო სული ნითდება. ფილოსოფიური ქვა ასე მზადდება.

თავს ვერ ვიკავენ და ვამბობ, ქვას სამეგა ჰქვია, ერთარსი. ქვა შედგება: სულის, სხეულისა და სამშინველისაგან და წმინდა სამებას განასახიერებს. ბუნებრივი ხატებაა წმიდა სამებისა. მისი სული მერკურია, სამშინველი გოგორია, ხოლო სხეული - მარილი.

ჭეშმარიტება უსასრულოდ ხომ არ დაიმალება?!

ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია, როგორც ფილოსოფოსების ქვა. ოკულტურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „ქვა რომ მოიპოვო, თავად უნდა იქვე ქვად“. სახარებაში წერია: იესო არის ქვა.

ქრისტეანული სიმბოლოები და რიტუალები შესატყვისობაშია სხვადასხვა ოპერაციებთან, რომლებიც აუცილებელია დიდი სამუშაოს განსახორციელებლად.

აქ დასაკენით: იესოს ჩასახვა, სიკვდილი, ვნებები, ჯვარცმა, სიკვდილი და აღდგომა რაოდენ შეტოლებულია ფილოსოფოსთა ოქროს ჩასახვის, ვნებების, სიკვდილის და მკვდრეთით აღდგომის ისტორიასთან. უდაბნოში მერკურმა ეშმაკის გამოცდას უნდა გაუძლოს. ეშმაკი მასში ცეცხლოვან ბუნებას ალაგზნებს, მოდიან ანგელოზები და მერკურს მოემსახურებიან. მერკური ეშმაკს უპირისპირდება და იმარჯვებს. ეშმაკში

ვინც ვიგულისხმე, ამას გრძნული მიხვდება. რეპლი მერკურს ქრისტესთან აიგივებდა.

ფილოსოფიურ ვერცხლისწყალს წმინდა სუბსტანცია ბადებს. ქრისტე კი წმინდა უბინო ქალწულისაგან იშობა. კაცის ქე და ჰერმესის შვილიც მოხეტიალე ცხოვრებას ეწევიან. ორივე ტანჯვით და უდროოდ იღუპება. ერთი ჯვარზე, მეორე ტიგელში. ერთიც და მეორეც მესამე დღეს აღსდგება.

აქვე დავტყენ: ერთ ჩვენს თანამედროვე ქალბატონზე ამბობენ, მაგითაა დაკავებული. სინამდვილეში მას ალქიმიკოსი ანტიტრესებს. მაგამ ალქიმიკოსი ბევრი ისესხა.

პილიგრიმობა ყველა ალქიმიკოსის ვალია. ალბერ ჰუასონი გადმოგვცემს: ფლამელმა დატოვა ცოლი პერნელა, ლაბორატორია, წიგნები და ფეხით გაუდგა იბერიის გზებს, წმინდა ჟაკერ ლა ბუშერის ეკლესიისთვის მიცემული ალექსა შეასრულაო. მისი სახელი ნიკოლაი ბერძნულად „ქვაზე გამარჯვებული“ ნიშნავს.

თუ რა ნახა მან იბერიაში და ვის შეხვდა, ეს მკაცრად გასაიდუმლოებულია.

ალქიმიკოსი საცხებით მარტო მუშაობს. სკოლას არ ქმნის. „დე, არ ეკუთვნოდეს არავის ის, რაც შეიძლება გეკუთვნოდეს შენ!“. მათ მოსწავლეები იშვიათად ჰყავდათ. ცოტა ცნობილი მათ საიდუმლო გაერთიანებებზე არ რაღაც მაგდაგვარზე. მიღებული ცოდნა სხვას არ გადაეცემოდა, თუ ის ამად არ ღირდა, ისინი მხოლოდ მათთან ურთიერთობდნენ, ვისაც მათი ესმოდათ და ვისაც ჰქონდა გაგების უნარი. პარაცელსი მონაფეხებდ მხოლოდ იმთ იყვანდა, ვინც ასტროლოგია იცოდა.

საგულდაგულოდ მალავს იგი ხელოვნური ოქროს მიღების საიდუმლოს. სხვაგან ავტორი ამტკიცებს, რომ ოქრო, რომელსაც იგი ეძებს, არ არის ნამდვილი ოქრო. ანუ ეს არის ფილოსოფოსების ოქრო, ანდა ჯადოსნური ქვა, უზილაგი, ეთერული ანუ ჰერმეტიკული rebis-ი.

„ოქროს მიღებას მე არ გასწავლით, არამედ გასწავლით სწული მეტალების განკურნებასა და ფილოსოფიური ქვის მოპოვებას, რომლითაც ავადმყოფ, სწულ მეტალებს გარდაქმნიან და მათგან ელექსიანურ, სამოთხის ფოლადებს იღებენ.“ პარაცელსი - საგანძურთა საგანძური.

პითაგორასთან დამონაფება მრავალს უნდოდა, მაგრამ იგი მხოლოდ რჩეულთ იმონაფებდა. „ყველა ხისგან მერკური არ გაითლება“-ო.

პრიმამატერიის (პირველი არსის) ძიება მოსწავლის პირველი ამოცანა უნდა გახდეს. ფილოსოფიური ქვის მოსაპოვებლად თქვენ უნდა მოიპოვოთ მსოფლიოს მატერია, რაიმეების პირველყოფილი ლატექსი. სატურნის ბუნებრივი შვილი. დიდი საქმიანობის პირველი საიდუმლო მატერიისა და მინერალური სპერმის ამოცნობაა. სწორედ ესაა ყველაზე საიდუმლო და ძნელი. დანარჩენი ცნობილია.

ასზე მეტი წიგნი წავიკითხე ალქიმიკოსებზე და ვერც ერთ ცნობას ვერ გადავწყარე, თუ როგორ უნდა მივიღოთ მერკურის წყალი. არც ერთი ტრაქტატი ჩვენს მატერიას ანუ ლაპისს არ ასახელებს, ჰერმესიდან პენოპოლიტანელ ზოსიმამდე, და სამუშაოების (ოპერაციების თანმიმდევრობას) წარმართვას არ გვასწავლის. ოსტატები არასოდეს უწოდებენ ფილოსოფიურ მაგენზიას და თავიანთ სატურნს ნამდვილ სახელს, როცა მასზე მიუთითებენ. აქ გაგონდება რჩევა ხარისხის პაპირუსიდან: პირი დამუნე! დადუმდი!

ეს ელექტრა სატურნის გვარს მიეკუთვნება. ამიტომ ზოგიერთმა მას ვენერა უწოდა. სხვებმა დიანა (დალი), რადგან ტყე მისია, ამ ტყეში ტოტებზე ოქროს საწმისი კიდა. ეს ელექტრა ფილოსოფოსების მთვარე. მას ზოგი უწოდებს დედამიწას, მცენარეს, ხეს, ურჩხულს, მწვანე ლომს, მზის აჩრდილს. ხოლო თუ რა არის ეს, ამას რუსთველი გვიმხელს. რუსთველი ალქიმიკოსია! ყველა ქორნილი „ვეფხისტყაოსანში“ ალქიმიური ქორნილია! პოეტი ბევრია, ალქიმიკოსი - ცოტა. მით უფრო დასაფასებელია იგი!

ფლამელმა იბერია მოიღო. ხომ არ იყვნენ სხვა პილიგრიმები? ალქიმიას წიგნით ვერ ისწავლი, როცა მონაფე მზად არის, მასწავლებელი არ დააყოვნებს: ისიც შესაძლებელია, ვილაც უცნობი მოხეტიალე ოსტატი მას ეცხადებოდა და ასწავლიდა. ირწმუნებიან, რომ ფილოსოფიური ქვა მსოფლიო სიბრძნის სარკეა და ვისაც ის აქვს, არისტოტელეს და ავიცენას დარად აზროვნებს. ის წმიდა წერილების კარგად გააზრებაში გეხმარება. ქართული პოემა ფილოსოფიური ქვის შედეგია?

ვისგან ისწავლა რუსთველმა ალქიმი: ეს ნოყიერი, ჯერ კიდევ ბარისპირდაუქრავი ნიადაგია.



რობერტ ბრაუნინგი

განთიაროვან განშორებისას

ზღვა შემოერტყა კონცხს უცაბედად და ქედს მთებისას მზემ გადმოხედა; მას ოქროსფერი ბილიკი სდევდა და მეც კი მსდევდა სამყაროს სევდა.



რობერტ ფროსტი

... ოქროსფერი თანდათან ჭრება

ოქროსფერია თავიდან კვირტი. მერე იცვლება კვირტი ყვავილით, მაგრამ ყვავილობს არცთუ დიდი ხნით, მწვანე ფოთოლს კი ფოთოლი მოსდევს, და ხეც სიმწვანით შეიმოსება. შემდეგ ფოთლები ეცემა დაბლა - აღარც სიმწვანე, არც მისი ალქმა. ასე ედემი მოიცვა სევდამ, დილის ცისკარს ცვლის დაისი დღესაც და ოქროსფერიც თანდათან ქრება.

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარაღმა

მთავარი რედაქტორი ივანე ამირხანაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ელისაბედ მატრავილი
ფინანსური მენეჯერი ქეთევან დემატრავილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ბალა გვალაშინი, მზია ბარბაქაძე
დიზაინერ-დამკაბადონებელი, გავრცელების სამსახური ჟოლდენარ ვანსკი
ზანდუქელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaartvelo@yahoo.com

„ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიშის ნომერი: საქართველოს ბანკი, GE43BG000000161665862
ISSN 1987-9805
დაბეჭდილია შპს „საარის“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის 57